მეორე წელიწადი | ფასი 5 კაპ. | კვირა, 5 თიბათვე 1616 წ. | № 124

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე, დილის 9—3 საათ. ... დი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
... განცხადება თითოჯერ ... ათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს უველგან 7 კაპ.

კვირას 5 თიბათვეს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდაცვლილის ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი იქნება

ღვდ. ივანეს ძე
დარჩიაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ...

ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131)
კვირას, 5 ივნისს
ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობის დამხმარე საზოგ.
„ივერი"-ს
სასარგებლოდ გაიმართება
დიდი სახალხო სეირნობა
... დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე.
შესასვლელი ფასები: ... (5-115-5)

ახალი კლუბი
ერთი კვირის პროგრამა 6—12 ივნისამდე.
... (1—122—1)

ტყის პატრონთა საგულისხმოდ
საჭიროა ... ხმელი შეშა
ქართველ მეურნეთა კოოპერატივისთვის
... მიმართეთ: ოლღას ქუჩა № 4. ტელ. 6-60.
დილის 9—12 ს. საღამოს 6—9 საათამდე. (3-208-3)

სახალხო სახლი
შაბათს, 7 ივნისს, 1916 წ.
ზ. გომელაურის გამგეობით წარმოდგენილი იქნება
ნ. ჩხეიძის მონაწილეობით
მარგარიტა გოტიე
დრამა 5 მოქ. ა. დიუმასი ...
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. (3—119—2)
გამგე ზ. გომელაური.

ვაგზლის სამკურნალოში
(მიხეილის ვაგზლის ახლოს ...)
სამკურნალოს ყველა ექიმებმა
კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ
დღე დილის 11—2 საათამდე.
... —126—

ფალვერში
... ხაჩიძის აგარაკში
... 10—101—7

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლი
კვირას, 5 თიბათვეს 1916 წ. სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ
ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
ერთ საღამოს ორი პიესა
I
ქრისტინე
დრ. 4 მოქ. პ. ირეთელისა
II
რაც გინახავს ველარ ნახავ
კომ. 3 მოქ. ა. ცაგარლისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ს. ანკარა, ბარათაშვილი, მატარაძე, გოდერძი, ი. ყიფშიძე, ნ. ჯავახიშვილი. ბ.ბ. ანაშვილი, გელიკურაშვილი, ბადრიძე, ივერელი, მეტრეველი, მინდიაშვილი, მერაბიშვილი, მამაჯანოვი, რომანიშვილი, სალაყაია, სვანელი, ჯაბაური, კობახიძე და სხვანი.
დასაწყისი საღ. 8 ნახევარ საათზე. ადგილების ფასი 5—49 კ.-მდე.
ბილეთების კასა ღია ყოველ დღე დილის 12—2 და საღ. 6—8 საათამდე.
(2--112—2) გამგე ალ. ბოგორიძე

სავაჭრო სახლი
„ძმ. სესიევები და ამხ."
(ვაგზლის ქ. № 6)
ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება
ნამდვილი კახური საკუთარი ბაღების ღვინო
(13-207-2)

კბილის ექიმმა
მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

ექიმი-დოსტაქარი
გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა
ექიმი
ა. დ. შაჰბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

დ. ზესტაფონში
ექიმი
დ. პ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

სტუდენტები
ამზადებენ მსურველთ სასულიერო სასწავლებლის და სემინარიისაათვის.
წყნეთის ქუჩა № 15. იკითხეთ პარიკმახერთან. (14—174—9)

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.
ტელეფონი, 17—21.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
მ. ი. ვარნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—203—2)

## თბილისი, 5 თიბათვე

**სახალხო მასწავლებელთა კრება.** დღეს სახალხო სახლში იხსნება დამფუძნებელი კრება თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებისა. კრება მოისმენს საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენებას საზოგადოების მიზნებისა ნებისა და სამოქმედო გეგმის შესახებ, საკულტურო საზოგადოებათა წარმომადგენლების მისალმებას და აირჩევს გამგეობასა და სარევიზიო კომისიას. ამას გარდა კრების მონაწილეთათვის წაკითხულ იქმნება რამდენიმე მოხსენება პედაგოგიურ თემაზე.

ამ საზოგადოების დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, როგორც პირველი რადიკალური ნაბიჯი სახალხო მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესობის გზაზე. ცნობილია, რომ ეს მდგომარეობა მეტად არა სახარბიელოა. ქართველ სოფლის მასწავლებელს სწორედ რომ აუტანელს პირობებში უხდება მუშაობა. მისი ნივთიერი მდგომარეობა შევიწროებულია. მისი გონებრივი კულტურის გაუმჯობესობაზე არავინ ზრუნავს. არ იმართება არც საზაფხულო პედაგოგიური კურსები, არც პერიოდული კრებები, არც ექსკურსიები. მასწავლებელი შეზღუდულია უფლების მხრით ათასგვარი ბიუროკრატიული წვრილმანით, ვალდებულება კი ძლიერ დიდი აწევს კისერზე. ხშირად ის იძულებულია რამოდენიმე განყოფილებას გაუძღვეს, საჭირო სამასწავლებლო წიგნები და ნივთები კი ხელთ არა აქვს. საერთოდ საქართველოში პედაგოგიკა ჯერ კიდევ პირველყოფილს მდგომარეობაში იმყოფება და მასწავლებელი უმეტეს ნაწილად მხოლოდ საკუთარ გამოცდილებასა და ინტუიციას ეყრდნობა. ჩვენ არ გვყოლია ჩვენი პესტალოცები და ჩვენი რუსსოები. ეს კიდევ ნახევარი უბედურებაა. ჩვენ ვერ ვიცნობთ ახალი პედაგოგიკის მიზნებსა და მეთოდებს, რომელიც თანამედროვე ევროპაში ექსპერიმენტალური ფსიხოლოგიის ნიადაგზედ სდგას. ხეირიანი პედაგოგიური გამოცემებისა და ლიტერატურის უქონლობის გამო ახალი იდეები მეტის-მეტად გვიან აღწევენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებამდე და ჩვენი მასწავლებელი ჯერ კიდევ ძალაუნებურად პიროგოვისა და უშინსკის დროის აზროვნებით იკვებება.

ამასთან ერთად ჩვენს ხალხში თანდათან ძლიერდება სწავლა-განათლების წყურვილი. ამ მხრივ ქართველი ერი უსწრებს თავის მეზობლებს ამიერ კავკასიაში—სომხებს, თათრებს და მთიელებს. როგორც კავკასიის სამოსწავლო ოლქის ანგარიშიდან სჩანს ქართველ მოსწავლეთა საერთო რიცხვი ათი წლის განმავლობაში (1898—1908 წწ.) საგრძნობლად გაზრდილა: ის 26 ათასიდან თითქმის 47 ათასამდე ასულა. ამავე დროს სომეხ მოსწავლეთა რიცხვს 24 ათასიდან 32 ათასამდე მიუღწევია, ხოლო თათარ მოსწავლეთა რიცხვს 5 ათასიდან 11 ათასამდე. მაშინ როცა ყოველ ასს ქართველზე 2,5 მოსწავლე მოდის, ყოველ ასს სომეხზე მხოლოდ 2,2, ხოლო ყოველ ასს თათარზე 0,5 მოსწავლე მოდის. თუმცა ჩვენი ერი დანარჩენ კავკასიელ ერებთან შედარებით დაწინაურებულია, იდეალურ მდგომარეობაში მაინც არ იმყოფება. რასაკვირველია, დასავლეთ ევროპის კულტუროსან ქვეყნებში დღეს სკოლის გარეშე არც ერთი ბავშვი აღარ რჩება, მიტომ რომ იქ საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლებაა შემოღებული, ჩვენში კი 1908 წელს ორ მესამედზე მეტი სკოლის გარეშე იყო დარჩენილი. თუმცა მას შემდეგ მდგომარეობა რამოდენიმედ გაუმჯობესდა, მაგრამ საფიქრალია რომ ჰასაკში მოსულ ყმაწვილების უმრავლესობა ჯერ კიდევ წერაკითხვის უცოდინარი რჩება. ამას გარდა საყურადღებოა ის გარემოება რომ ევროპაში პირველდაწყებითი სწავლა-განათლება შვიდ-რვა წელიწადს გრძელდება, ჩვენში კი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ სამს. ამ სამი წლის განმავლობაში ბავშვს დედაენისა და სახელმწიფო ენის შეთვისება უხდება, ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ ვერც ერთს ვერ ითვისებს ხეირიანად.

ზემოთ ნათქვამიდან ცხადია, რომ ქართველ მასწავლებელს დიდი ეროვნული მისსია აქვს ასასრულებელი. მით უფრო საჭიროა თვითონ მასწავლებლის კულტურული, უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. იმედი გვაქვს, რომ ახლად დაარსებული საზოგადოება ბევრს რასმე გააკეთებს ამ მხრივ და მძიმე ტვირთს შეუმსუბუქებს ქართველ მასწავლებელს, რომელიც დღეს გროშებითა და დაძველებული იდეებით იკვებება.

## პროვოკაცია თუ სიბეცე?

(ალ. რემიზოვი და სომხების „სურფ-სარქისი")

მართლმადიდებელთა მეზვერის და ფარისევლის კვირიაკეში მოდის ხოლმე სომეხთა მარხვა, რომელსაც სომხები და ქართველები „არაჯავორს" უწოდებენ, ხოლო ბერძნები და სლოვენები „არცივურის". ვინაიდგან ამ მარხვასთან სომხებს შეერთებული აქვთ წმიდა სარქისის დღესასწაულიც, ამიტომ მას „სურფ-სარქის"-საც ეძახიან. როდის, რისთვის ან ვისგან დაწესებულა აღნიშნული მარხვა, ეს ჯეროვანად არაა გარკვეული. გრიგოლ განმანათლებელის მოწაფე ზენობი მოგვითხრობს, ვითომც თრდატ მეფემ გრიგოლი ჩააგდო ორმოში, საიდანაც ის, ღვთის ბრძანებით, ამოიყვანეს 15 წლის შემდეგ ღორად ქცეულ თრდატის ეშმაკეულმა ჯარის-კაცებმა, რომელთაც გრიგოლიმ განკურნება მიჰმადლა; სწორედ ამ განკურნების აღსანიშნავად და მოსაგონებელად გრიგოლიმ „არაჯავორი" განუწესა სომხებსო. იოანე პატრიაქის (VII ს.) სიტყვით ეს მარხვა დაწესებულია ბეთლემელთა (სპარსეთში) შავი ჭირისაგან დახსნის გამო. არსებობს ერთგვარი ლეგენდა შემდეგი შინაარსისა: სომეხთა მოძღვარს სარქისს (სერგი) ჰყავდა ძაღლი, რომელიც მას მეტად უყვარდა იმ სამსახურისთვის, რომელსაც ის უჩენდა მას სამისიონერო მოღვაწეობაში. ეს ძაღლი სარქისს მგლებმა შეუჭამეს და მან, ნიშნად გლოვისა, სომხებს „არაჯავორი" განუწესაო.

ეს ლეგენდა „შუნ-სარქისი"-ს სათაურით მოუთავსებია რუსის მწერალს ალ. რემიზოვს „Огонекъ"-ის მეოცე ნომერში და თან დაუძენია, რომ იგი ქართულია და პირველად ჯვარის-საყდრის (მცხეთასთან) მღვდელ-მონაზონის ილარიონისაგანაა გაგონილიო (გვ. 4). ამ გარემოებას საფიქრებელში ჩაუგდია „კავკასკოე სლოვო"-ს „მეშრაპნელე" ბ. ლიკი, რომელსაც ასეთი ლეგენდის არსებობა თითქოს პირველად რემიზოვისაგან უნდა გაეგოს (№ 120); ლეგენდაში ის ხედავს სომეხთა სარწმუნოებრივ გრძნობის შებღალვას და შიშობს, ასეთმა უხეშმა „ხუმრობამ" დიდი კოცონი არ აღატყინოსო; ის კატეგორიულად მოითხოვს ქართულ ლეგენდების მცოდნე პირთაგან განმარტებას, რომ ქართველ ხალხს არ შეეძლო ასეთი ლეგენდის შექმნა.

„ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალიღა აკლდაო" ნათქვამია; სომეხ-ქართველთა ურთიერთობა ისედაც საკმაოდ გამწვავდა ამ ბოლო დროს და რაღა საჭირო იყო გაუგებრობის გასაძლიერებლად კიდევ სარწმუნოებრივ ელემენტების მოტანა? ჩვენ იმედი გვქონდა, რომ რუსის ინტელიგენცია არსებულ „სიმწვავეს" თუ ვერ გაანელებდა, ყოველ შემთხვევაში ნეიტრალობას მაინც გამოიჩენდა; სამწუხაროდ, როგორც თანდათან ვრწმუნდებით, მას წაღიზიანება და ერთი მეორის მისევა უფრო ეხერხება, ვიდრე მომრიგებელის როლი. ეს, კერძოდ, ალ. რემიზოვის შესახებ უნდა ითქვას; განა ის გარემოება, რომ მის მიერ ჩაწერილი ლეგენდა პირველად ქართველ ბერისაგან არის გაგონილი (თუ მართლა ეს ასეა), საკმაო საბუთს აძლევდა მას დაესკვნა, რომ თვით ლეგენდა ქართველებისაგანაა მოგონილი? ეს ან სრული უვიცობა და ხეპრეობაა, ანა და ერთგვარი პროვოკაცია.

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და თანახმად ბ. ლიკ-ის მოთხოვნილებისა მე საჭიროდ მივიჩნიე დავძესახელებია წყარო აღნიშნულ ლეგენდისა, რომლის შესახებ მთელი ლიტერატურა არსებობს [1]).

ხსენებული ლეგენდა დაიბადა პირველად საბერძნეთში, შავბნელეთით მოცულ საშვალ საუკუნოებში, როდესაც ქალკედონიტ-ბერძენთა და ანტი-ქალკედონიტ-სომეხთა შორის ატეხილი დოღმატიური პოლემიკა უკიდურესად გამწვავდა. წარმოიშვა ის სწორედ სომეხთა სარწმუნოებრივ გრძნობის შესაბღალავად და მათი ეკლესიის გასაქირდავად. მაგრამ, ვარწმუნებ ბ. რემიზოვს და დაინტერესებულ სომხებს, აქ ქართველები არაფერ შუაშია: ეს ლეგენდა მეთხზა პირველად სომხის რენეგატ-მღვდელ-მთავარმა ისააკმა, რომელმაც მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში ბერძნული მართლმადიდებლობასთან ერთად ნიკიის სამიტროპოლიტო საყდარიც მიიღო. როგორც ყველა რენეგატს ჩვევია, მოპირდაპირეთა ბანაკში გადასვლის შემდეგ, ისააკმა ხელი მოჰკიდა მშობლიურ ეკლესიის და ერის განქიქებას და ბერძნულად დასწერა „Oratio invectiva adversus Arinenios".[2]) აი რას ამბობს ისააკი ამ ნაშრომში „არაჯავორის" შესახებ: „სომეხთა მწვალებლობის მე-

1) იხ. проф. И. Мансветова—О постахъ православной восточной церкви, Москва 1886 г.
проф. И. Карабинова—Тріодь постная, историческій обзоръ, Петрогр. 1913 г.
проф. Ив. Троицкій—Изложеніе вѣры церквы армянской, Петр. 1875 г.
H. Alt. D. Christliche Kultus, II, 1860.
2) Migne—Patrol. Cursus Completus, seria Graeka, tom. 131, col. 1198 sqq.

თაურს, სარქისს ჰყავდა ეშმაკეული ძაღლი, რომელსაც ეძახდენ „არციურის“, რაც „წინასწარმაუწყებელს“ ნიშნავს. როდესაც სარქისი მოინდომებდა წასვლას ისეთ ადგილას, ქალაქსა თუ სოფელში, სადაც მისი მოწაფენი და თანამოაზრენი ცხოვრობდნენ, წინდღით ძაღლს გაგზავნიდა იქ. დაინახავდენ თუ არა ძაღლს, მოწაფეები მიხვდებოდნენ, რომ მათი საყვარელი მოძღვარი მოდის და შორს-შორს მიეგებებოდენ მას. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, სარქისმა ძაღლი სადღაც გაგზავნა წინამორბედად, სამწუხაროდ ის გზაზე მგლებმა შესჭამეს. მეორე დღეს გაემგზავრა სარქისიც, მაგრამ მოწაფეები არ შეეგებენ მას. როდესაც მივიდა მათთან, გაიგო, რომ ძაღლი იქ არ მისულა. სარქისი შეუდგა ერთგულ მეგობრის ძებნას და ნაპოვნი ძვლების მეოხებით სცნო, რომ ის მგლებმა დაგლიჯეს. მაშინ მან გასცა განკარგულება, რათა სომხები, სევდითა და მწუხარებით შეპყრობილნი, ყოველ წლობით ჰმარხულობდნენ მისი ძაღლის სიკვდილს, და სახელად ასეთ მარხვას „არცივური“ უწოდა.

ეს ყოვლად დაუჯერებელი ამბავი მოგონილია მხოლოდ იმიტომ, რომ სახელი გასტეხოდა სომხების „არაჯავორას“, რომელსაც თავისი ისტორია აქვს „აღმოსავლეთის“ ერთა ეკლესიაში. მართლაც ისააკის შრომა საფუძვლად დაედო შემდეგ დროის ბერძენთა პოლემისტების თხზულებებს და ბოლოს საეკლესიო ტიპიკონშიაც კი მოჰყვა. მას სხვა და სხვა ვარიაციებით იმეორებდნენ სხვა და სხვა მართლმადიდებლობითი აღსარების ერები, მაგალითად, მოსკოვის სინოდალურ წიგნთსაცავის ერთ-ერთ სლოვენურ ხელნაწერში (№ 337/388), რომელიც მეთექვსმეტე საუკუნეს ეკუთვნის, ვკითხულობთ: „გვესმა წმიდათა მამათა და ბერძნულ საღმრთოთა წიგნთაგან სიტყვაჲ, განმაქიქებელი მწვალებლობისა და უგუნურებისა მათისაჲ (სომხების), ვითარმედ კვირიაკესა ფარისეველთასა ენითა მათითა „არცივური“ ეწოდების. „არცი“ იყო მოძღვარი მათი, ხოლო „ურეც“ ეწოდებოდა მოწაფესა მისსა ძაღლსა, რომელსაც ქედსა მისსა დაჰკიდის გუჯარი თვისისა სარწმუნოებისა და მწვალებლობისა და მოწაფეთა თვისთა წარუგზავნის. გარდახდომასა მრავალთა წელთასა მხეცთა მძვინვარეთა განბძარეს „ურეც“, და შეემთხვა მოძღვარსა მათსა „არცის“ ურვაჲ და სალამობაჲ ფრიადი, და განაწესა მან მიმდგომთა თვისთა მარხვაჲ კვირიაკესა მას „ურეც“-ისათვის ა მოწაფისა თვისისა“.

ესეთი ლეგენდა შეუმჩნეველი არც ქართველებს დარჩებოდათ, ვინაიდგან ისინი ბეჯითად ადევნებდენ თვალყურს ყოველივე იმას, რაც საბერძნეთში სომხების შესახებ იწერებოდა, ამიტომ იმას ჩვენ ძველ ქართულს საეკლესიო მწერლობაშიაც ვხვდებით, და საკვირველი არაა, თუ ხალხურ ზეპირ თქმულებაშიაც შენახულია იგი. ყოველ შემთხვევაში ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი ქართველებმა მოიგონეს, და ისიც სწორედ იმ დროს, როდესაც სომეხ-ქართველთა ურთიერთობა ასე გამწვავდა. მე ვფიქრობ, თუ ალ. რემიზოვმა საჭიროდ სცნო ამ ლეგენდის გამოქვეყნება, ისიც ყალბ და უსაფუძვლო კომენტარიებით, „კავკასკოე სლოვოს“ მაინცა და მაინც არ უნდა გაესვა მისთვის ხაზი, ამით მან უფრო მიაქცია საზოგადოებას ყურადღება.

**დეკ. კორ. კეკელიძე.**

## „Кавказское Слово“-ს საგულისხმოდ

ჟურნალ „Огонекъ“-ს ამა წლის მე-20-ე ნომერში მოთავსებულია ლეგენდა **„შუნ-სარქისი“**, რომელიც სომეხთა ცნობილ წმინდანს **სურფ-სარქისს** შეეხება და რომლის ავტორიც ლეგენდას „ქართულს“ უწოდებს და შენიშვნაში ამბობს: ეს ლეგენდა ჩაწერილია ვინმე **ჩერნიავსკის** მიერ, ხოლო ამ უკანასკნელისათვის უამბნია **ჯვარის-საყდრის** (მონასტრის) ბერს მღვდელ-მონაზონს **ილარიონსაო.**

შემდეგ ამ ლეგენდისათვის ყურადღება მიუქცევია გაზეთ „Кавказское Словос“-ს, რომლის წარსული კვირის (28 მაისის) ნომერში მოთავსებული იყო მცირე შენიშვნა, შენიშვნის ავტორი აღნიშნავს ამ ლეგენდის საზიზღროებას *) და მიმართავს ქართველ მკვლევართ— დაადასტურონ რომ ქართველ ხალხს არ შეეძლო შეექმნა ამგვარი შეურაცხმყოფელი თქმულება.

მე არ ვიცი, როგორ პასუხს გასცემენ ამ წინადადებაზე ჩვენნი მკვლევარნი; მაგრამ ჩემის მხრით არ შემიძლია არ გავაფრთხილო ერთიცა და მეორე მხარეც, რომ არაფერი ამ ლეგენდის მზგავსი წმინდა სარქისის შესახებ მე **არც სად გამიგონია და არც ვისთვისმე მიამბნია**; მაშასადამე მთელი პასუხისმგებლობა ბ-მა ჩერნიავსკიმ უნდა იტვირთოს, რომელსაც ეს მართლადაც საზიზღარი თქმულება ჟურნალ „Огонекъ“-ის თანამშრომელისათვის მიუწოდებია.

ჩემი ღრმა რწმენით აქ ქართველი ხალხი არაფერს შუაშია.

ვთხოვ პატივცემულს „Кавказское Слово“-ს რედაქციას, გადათარგმნოს და გადაბეჭდოს ეს ჩემი წერილი.

პატივისცემით მღვდელ-მონაზონი ჯვარის მონასტრისა **ილარიონი.**

1916 წ. 4 თიბათვე.

*) „შუნ“—სომხურად ძაღლს ნიშნავს.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

მაიორ მორატმა „ბერლ. ტაგებლატის“ ფურცლებზე სასენსაციო ამბავი გამოაქვეყნა ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ დიდი საზღვაო ბრძოლის შესახებ. „გერმანიაშიო,—ამბობს მორატი,—არავის ეჭვი არ შეაქვს იმის შესახებ, რომ ინგლისელებს დიდი ხანია ჰსურდათ ესბიერგში დესანტი გადაესხათ, რათა დანელთა ჯარების დახმარებით გერმანიის ტერიტორიას შეჰსევოდნენო“. ეს ამბავი სიტყვიერად დადიოდა ჯერ მაისის ოციან რიცხვში, ესე იგი, საზღვაო ბრძოლის მეორე-მესამე დღეს. ბეჭდვითი სიტყვამ მხოლოდ ეხლა გამოაქვეყნა ეს ამბავი. თუ მართალია მორატის რწმუნება, მაშინ მორალურ თვალსაზრისით გერმანელთა ესკადრის თავდაცვას მეტი მნიშვნელობა ეძლევა. ალბად რუს სამხედრო მიმომხილველს ომის სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როდესაც მომხდარ ამბის შეფასებაში იყო. „ჩვენაო,—ამბობდა სმოლინი,—მაშინ შეგვიძლიან გამარჯვებაზე და დამარცხებაზე ვილაპარაკოთ, როდესაც დანამდვილებით გავიგებთ ვის რა მიზანი ჰქონდა ამ ბრძოლის დროს, ვინ ვის დაეცაო. მართლაც ამ შემთხვევაში ნივთიერი ზარალი იმდენად არ არის მხედველობაში მისაღები, რამდენადაც მიზანშეწონილი მოქმედების გამარჯვება თუ დამარცხება. ვინ არ იცის, დარდანელის ოპერაციის დასაწყისში მოკავშირეთა ესკადრას, როგორც ინგლისისას, ისე საფრანგეთისას რა დიდი ზარალი მოუვიდა, მაგრამ ეს არაფრად არ მიუღიათ მოკავშირეებს, რადგანაც მიზანი მათი დესანტის გადასხმისა მიღწეულ იქმნა. რა მოხდა შემდეგ, ეს სხვა საკითხია, მაგრამ „ბიუვე“, „ტრიუმფისა“ და სხვათა ჩაძირვისა არასფერს ნიშნავდა დიად განზრახვასთან შედარებით.

მაგრამ არის მეორე ვერსიაც, ეს ძველი შეხედულობა გახლავთ: გერმანელნი თვითვე დაეცნენ თავზე ინგლისელთა ესკადრასაო. მიზანი გერმანელებისა ორგვარი იყოო, ერთი ამ ესკადრის მოსპობით ფართო გზის გახსნა, ან და მთავარი ძალების სწრაფი გაქანება ჰოლანდიის სანაპიროებით ანტვერპენის ნავთსადგურში შესაჭრელად, რომ აქ მტკიცე ბაზის მოპოების უმალ კალესკენ დაეწყოთ მოქმედება ხმელეთის ჯართან შეთანხმებითაო. ეს გრანდიოზული გეგმა გაუგეს ინგლისელებმა და ამიტომაც მსხვერპლს არ მოერიდნენ, მცირე ძალებითაც შეებრძოლნენ, რა არის, ამით საშუალება არ მიეცათ ანტვერპენისკენ გასაჭრელად, ვიდრე დიდი გემები არ მოეშველებოდნენო. თქმა არ უნდა ინგლისელთა გაწირულ ესკადრის ასეთი სითამამე ისტორიულ გმირობად დარჩება, თუ მართლა დიდი ძალა უკუ აქციეს.

როგორც ვხედავთ, მორატის მიერ წამოყენებული შეხედულობა ისეთივე სასენსაციოა, როგორც მოწინააღმდეგე მხარის მიერ წამოყენებული ბრალდება. ვინაა მართალი, ჩვენ არ ვიცით, ეს მხოლოდ შემდეგ ისტორიის საკითხია და მაშინ თუ გავიგებთ სინამდვილეს, როდესაც ფაქტებს გასცხრილავენ და ჰორსა და სინამდვილეს ერთმანეთისაგან გაარჩევენ.

რაც შეეხება რუსთა წინსვლას, ამის შესახებ ტერიტორიის მხრივ რუსებს დიდი წარმატება არ უნახიათ. ტყვეების რიცხვი კიდევ ექვსი ათასით გაიზარდა. კავკასიის ფრონტზე ბაღდადის მიმართულებით ოსმალთ დიდი ძალებით იერიში მოუტანიათ, რუსებისთვის ქალაქი სერპული წაურთმევიათ, მაგრამ მალე კი დაუხევიათ უკან. ზღვის ნაპირებზეც გაუახლებიათ იერიშები. რა ხდება სხვა ფრონტზე, ჯერ ამბები არ მოდის.

პარიზიდან ცნობების მოწოდება გააძვირეს. მეტად ნაკლებ ამბებს იძლევიან. მთავარი ბრძოლა ხდება შატანკურის რაიონში, „304“ მაღლობთან და ტიმონ-სულილის სექტორში.

**X.**

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი,** 3 თიბათ. ოფიციალი. **ხელმწიფე იმპერატორმა** იტალიის მეფისგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „იტალიის ხალხთან ერთად გულწრფელ სიამოვნებით თვალ-ყურს ვადევნებთ ძლიერსა და ძლევამოსილ შენი ჯარის მოქმედებას. გიგზავნი მხურვალე და მეგობრულ სალამს, იმ იმედით, რომ საერთო ძალით სრულ გამარჯვებამდე მივალთ. დარწმუნდი ჩემს უდრეკელ მეგობრობაში.

**ვიქტორ ემმანუილ“.**

**დასავლეთის ასპარეზი.** პოლესიის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. მტერი ჩვენ ჯარებთან შეტაკების დროს ძლიერ ზარალდება. მივიღეთ შემდეგი ახალი ცნობა: მტრის ძლიერი კონტრიერიშების დროს სტირზე, სოკულის მიდამოებში (როჟიშჩედან ჩრდილოეთით) ტყვედ წამოვიყვანეთ 20 აფიცერი და 1,750 ჯარისკაცი ლუცკის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ცხენოსანმა მრავალ ადგილას ისახელა თავი. ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა, რომელიც გენ. სახაროვის არმიას ეკუთვნის მკაცრი ბრძოლის დროს მტერი გასდევნა მდ. პლიშევკის მდებარე სიმაგრეებიდან. კოზინის და ტარნავკის ზუა. ერთი პოლკოვნიკ ტატაროვის მეთაურობით ყელამდე წყალში გაცურდა. ერთი როტა ღრმა ადგილას გმირული სიკვდილით დაიღუპა. ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა და მტერი განდევნა. აქ ხელთ ვიგდეთ 70 აფიცერი, 5000 ჯარისკაცი 2 ზარბაზანი, ტყვიის მტყორცნელები, თოფ-იარაღი და მრავალი სხვა მასალა. მკაცრი იერიშით ჩვენმა ჯარმა როსტოკის ტყე დაიჭირა, პოჩაევის სამხრეთით, ხელთ ვიგდეთ იარაღი. გაივორონკა-გნილოვოდის მიდამოებში გენერ. შჩერბაჩევის ჯარმა გუშინ 9 საათ. საღამოთი მტერი უკუ აგდო. სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ხელთ ვიგდეთ 6000 ტყვე, ზარბაზნები და თოფ-იარაღი. მტრის მფრინავებმა ტანროპოლში ყუმბარები ჩამოყარეს. გუშინ ტყვედ წამოვიყვანეთ სულ 100 აფიც. და 17.000 ჯარისკაცი. დვინსკის მიდამოებში გუშინ ჩვენმა არტილერიამ სროლა ასტეხა. მტრის შეტევა ყველგან მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის სანაპიროებზე ოსმალები რამდენჯერმე შეეცადნენ გადმოსვლას, მაგრამ ზარბაზნის სროლით გავფანტეთ. 1 თიბათვეს ბაღდადის მიმართულებით, სასტიკი იერიშის შემდეგ, ოსმალებმა ქალაქი სერპული დაიჭირეს, მაგრამ მალე გავდევნეთ და ძველ სანგრებში დავაბრუნეთ.

—

**პარიზი,** 2 ივნისი. საღამოს ოფიციალი ცნობა. მაასის მარცხენა ნაპირზე, საარტილერიო მზადების შემდეგ, მორტჰომის სამხრეთ ქედებზე გერმანელთა თხრილები დავიჭირეთ. დავატყვევეთ 130 მეომარი, მათ შორის 3 აფიცერია. შატანკურის მიდამოებში და „304“ სიმაღლესთან არტილერია მხნედ მოქმედობს. მაასის მარჯვენა ნაპირზე მოპირდაპირემ ტიომონ-სუვილის სიმაგრეს ზარბაზანი დაუშინა.

**ჰავრი,** 2 თიბათვე. ბელგეთის ცნობა: ჩვეულებრივ მოქმედების გარდა ასპარეზით არსებითი არა მომხდარა-რა.

**ლონდონი,** 2 თიბათვე. ინგლისის შტაბის ოფიციალი ცნობა. ასპარეზის მთავარ ადგილებში სიწყნარეა. მდგომარეობა უცვლელია. ზილებეკეში ჩვენ მიერ დაჭერილ ადგილებში საარტილერიო ბრძოლაა.

**რომი,** 2 თიბათვე. იტალიის შტაბის ცნობა. გუშინ ადიჯეს და ბრენტოს შუა არტილერიის გარდა მზვერავთა რაზმები მხნედ მოქმედებდნენ. ნოვინიოს მთის მიდამოებში, ჩვენმა არტილერიამ გაფანტა მოპირდაპირეთა ჯგუფები. ჯოვეს და ბრაცონეს მთების მიმართულებით მტრის იერიშებმა უშედეგოდ ჩაიარა. გუშინ, საარტილერიო მზადების შემდეგ, ნეაპოლიტანელთა მამაცი ბრიგადა მონფალკონეს აღმოსავლეთით შეიჭრა. უსასტიკესი ბრძოლის შემდეგ, თხრილები ჩვენ დაგვრჩა, დავატყვევეთ 10 აფიცერი და 488 მეომარი, წამოვიღეთ 7 ტყვიის მფრქვეველი და საფრენების ესკადრა. ლაგარინოს ველში მუშათა სადგომებს ზარბაზნები დაუშინეთ. კაპრონში კი, მატერელის სარკინისგზო სადგურს. მოპირდაპირეთა საფრენებმა სან-ჯორჯიოზე, დინოგაროზედ და პორტოროზეგოზე ყუმბარები ჩამოჰყარეს; დაჭრილია ორი; ზარალი უმნიშვნელოა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ლამანშის გვირაბი.**

„ჟურნალ“-ის სიტყვით, ინგლისის საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრს, სერლიოველ-ირის, პარლამენტის კომისიაში შემდეგი განცხადება შეუტანია: „დღეს არავითარი საფრთხე არ მოგველის. წყალქვეშ ბრძოლამ დაგვანახვა სურსათის ზიდვის სიძნელე გვირაბის უქონლობის გამო. სერ ირლის ვარაუდით ლამანშის ქვეშ ინგლის-საფრანგეთის შესაერთებლად საჭიროა გვირაბის გაყვანა, რასაც 400 მილიონი ფრანკი დასჭირდება. გვირაბს სამ წელიწადში გაიყვანენ.

**გერმანელების სამხედრო ტეხნიკის გაუმჯობესება.**

გერმანელები დღითი დღე აუმჯობესებენ სამხედრო ტეხნიკას. როგორც ამბობენ: გერმანეთის ქვეითი ჯარი, რიგის ასპარეზზე ახალი ავტომატიური თოფებით მოქმედობს. რიგა-დვინის ასპარეზის მრავალ ადგილას ყუმბარებისთვის გერმანელებს მხრჩოლავი ბოლის ახალი შემადგენლობა გამოუგონიათ. როდესაც აფეთქდება ყუმბარა, ბოლი ყვითელ ღრუბლად გაიშლება და ჰაერსა ჰშხამავს. ალბად გოგირდი და ნახშირბადია შეერთებული. გარდა ამისა, როგორც უკანასკნელის ცნობებიდან სჩანს, დასავლეთ დვინის ასპარეზზედ, გერმანელები რუსების საფრენებს უმასპინძლდებიან ზენიტურ იარაღით, რომლის მოქმედებისას, ხმარობენ შრაპნელის ტყვიებს, რომელიც ორჯერ ფეთქდება. პირველი აფეთქება 2,500 ადლის სიმაღლეზე ხდება, მეორე კი 500 ათას ადლზე.

**როჟის მიდამოებში.**

„რუსკ. სლოვოს“ აცყობინებენ: როჟის მიდამოებში, ლუცკის ჩრდილოეთით, საშინელი ბრძოლაა. გერმანელებს ახალი მაშველი ჯარები მოუსვლიათ. კირილცასთან პირველი და მეორე რაზმები, რუსებმა დაამარცხეს და ტყვეთ წამოიყვანეს.

**რუსეთის ასპარეზი.**

სამხედრო პირები იუწყებიან, რომ ავსტრიელებმა ამ უკანასკნელ ხანაში 300.000 კაცამდე დაჰკარგა. ლუცკის მიდამოებში ავსტრიელთა გარღვეული ბრძოლის ხაზი რუსებმა უფრო გააგანიერეს ვლადიმირ-ვოლინის მიმართულებით, ისე რომ კვლავ ისევ მტერს დაუპირდაპირდნენ. სტრიპაზე ბრძოლის პირობები რუსთათვის უფრო ძნელია, ვიდრე ლუცკის მიდამოებში. სნიატინის ხელში ჩაგდება რუსების მიერ საგულისხმოა, რადგანაც აქ ერთდებიან მნიშვნელოვანი გზები კოლომნო, გოროდენკო, ჩერნოვიცისაკენ და სხვ. ამ ადგილიდან რუსებს ჩერნოვიცის მიდამოების ჩრდილოეთით და დასავლეთით რკალის შემორტყმა შეუძლიანთ. საგულისხმოა რუსების შეტევა დნესტრისა და პრუტის შუა და შეჭრა კარპატებში.

სტავროპოლთან წინ სვლა შეჩერებულია.

## მეფე ერეკლე და მადანჩა

(დასასრული)

ახტალის მადანი იძლეოდა წელიწადში 3200 მან. ოქროს, ექვსი ათასი თუმნის ვერცხლსა [1]) და 310 ფუთს სპილენძსა პირველ ხანებში. რამდენიმე წლის შემდეგ კი წელიწადში ათი ათასი თუმანი შემოსავალი ჰქონდა ერეკლეს და ეს შემოსავალი თან და თან მატულობდა [2]) ერეკლეს ესრეთი წარმატება რომ დაინახეს გარემო თათრის ხანებმა, ყველანი ჩაჩუმდნენ და ეფერებოდნენ, მასთან დამეგობრებასა ცდილობდნენ, ზედი-ზედ საჩუქრებითა და ძღვნებით იახლებოდნენ ხოლმე, რაკი ამ დროს ოსმალეთი და სპარსეთი დაუძლურებულნი იყვნენ, ხოლო ადრიბეჟანის სახანოებს ღონე არ შესწევდათ ერეკლეს გამკლავებოდნენ. დაღესტნის რჩეული ბელადები ხუთასი კაცით მუდამ ერეკლეს სამსახურში იყვნენ ფულით და საითაც ხელს გაუშვერდა, იქ იბრძოდნენ, წელიწადში 6, ხან ათასი თუმანი ეძლეოდათ. ავარიის მრისხანე ომარ ხანი ერეკლესთან დამოყვრებასაც კი ცდილობდა, ვახტანგს აძლევდა ცოლად თავის დას სულთან ზადეს [3]), მაგრამ მოლებმა და ეფენდიებმა დაუშალეს. ის ის იყო ასე გაძლიერებულს ერეკლეს ბედმა გაუღიმა და მთელი ადრიბეჯანი ხელთ იგდო 1780 წ. დამდეგს და აქედგან აწყობდა სპარსეთის დაწეწილ საქმეებსა. რამდენიმე ხანი კიდეც ახლდნენ და შესთავაზეს სპარსეთის ტახტი. ამ დროს გაჩნდა რუსეთში აღზრდილი ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე იმერეთში და აქედგან იბირებდა ქართლის თავადაზნაურობას. ერეკლეს აცნობეს თუ არა, მაშინვე მოვიდა ქართლში და მოცილე მეფობისა მოიშორა თავიდან, მაგრამ მალე დიდი პოლიტიკური სისულელე ჩაიდინა, მეტადრე რაკი 1782 წ. თებერვალში მოუკვდა სახელოვანი ლევან ბატონიშვილი (ს. ვეჯინში). შემდეგს 1783 წ. ივლისში წინდაუხედავად შეეკრა რუსეთს ტრაქტატით, რომელმაც აურია ოსმალნი სპარსნი და დაღისტნის მთიულნი. ტრაქტატის ძალით ერეკლეს ნება ჰქონდა წინანდებურად ფული ეჭრა თავის ზარაფხანაში; ამ ფულის ერთ მხარეს ერეკლეს სახე უნდა ყოფილიყო გამოყვანილი, მეორე მხარეს ქართლ-კახეთის ღერბი ზევიდან ორთავიანი არწივით.

რუსეთის მთავრობამ წარჩინებულ ქართველებს დაურიგა 30500 მან. საჩუქრები, რომ ტრაქტატზე აურ-ზაური არავის დაეწყო. დარია დედოფალს უბოძეს წმ. ეკატერინეს ორდერი ბრილიანტებით, ვარსკვლავით და 5500 მან. ბეჭედი. ორდერი ერეკლემ დაიკიდა მხრებზედ 1784 წ. 25 იანვარს ანჩისხატის ტაძარში [4]) და ზედ სამ არშინიანი თოვლიც მოჰყვა. ტრაქტატმა მეგობრებიც კი მოსისხლე მტრად გადუქცია ერეკლეს და დიდს საგონებელში ჩავარდა. გადაეკიდნენ მტრად ახალციხელი სულეიმან ფაშა, ყარაბაღელი იბრეიმ ხანი და ავარიელი ომარ ხანი. სულეიმან ფაშამ ხუთასი ქისა ოქრო გაუჩინა წელიწადში ომარხანს, ოღონდ ერეკლეს ჯავრი ამოიყარე და რუსების ჯარი გააძევე საქართველოდანო. ომარხანსაც ეს უნდოდა. 1785 წ. აგვისტოში ომარხანი ჩამოვიდა ალაზანზე 11.000 ლეკის ჯარით, მიიმატა ჭარბელაქნელნი და გაემზადა კახეთის ასაკლებად. ამავე დროს ახალციხელი სულეიმან ფაშა ქართლის ასაკლებად უნდა ჩამოსულიყო ჯარით, ომარხანმა მოუარა ქიზიყს, გავიდა იორში და ყარაიისაკენ გასწია, აქ გავიდა მტკვარში, გადავიდა ბორჩალოსკენ, და მარნეულს ქვეით გავიდა ალგეთში. 20 სექტემბერს მოუხდა ახტალას და ერთიანად დაწვა-დაბუგა, 640 სული დახოცა და 860 სული ტყვედ წაიყვანა. უფრო მეტი ბერძენი იყო. ქიზიყიდან მოკიდებული რუსის პოლკოვნიკი ბურნაშოვი ფეხ-და-ფეხ მისდევდა ჯარით ომარხანს და სეირს უყურებდა. ამგვარათ მოაკლდა ერეკლეს დიდი შემოსავალი მადნებიდან, 100 ათასი მანეთმ. მალე განაახლა მადნები ერეკლემ და მაინც ამუშავებდა ზარაფხანას, ამ დროს 1485,6,7,8,9 წ. ფული იჭრებოდა ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძისა. თუ რა ხელსაყრელი იყო ახტალის მადნის მუშაობა, ამას ვცნობთ 5 აპრილის 1793 წ. შემდეგი არზიდგან. „ქ. ღთნ. **ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მიხხანის მადანჩს ქორმაჭმადას და იმის ამხანაგებს მოსცეს. ჩემო მოწყალევ, იზმირდი იორს თქვენის მოხელეებისაგან სპილენძის ხურსი ერთს წელიწადს ექვსას ოცს ბათმან სპილენძათ იჯარით აედო. მერე ჩვენ გიახელით მოსამატებლად, რომელსაც თქვენს მოხელეს უთხარით მომატება—შორს დაგვიჭირეს და მანუჩარ მდივან ჩვენი სიტყვა გაიგონა და თქვენ მოგახსენათ, და ამ პირობით დაგვიმატებინა, რომ რვაას ბათმანზე ხალათი არ უნდა მოგვცემოდა და რვაას ბათმანზე რასაც მოუმატებდით, ასი ბათმანი ჩვენ ხალათათ უნდა გვბოძებიყო, მანუჩარ მდივანმა ასე წავვახალიხა, რომ ხამრიგათ მოგვამატებინა და ათას ასი ბათმანით გაგვაბდევინა, რომ ჩვენის მომატებით ოთხას ოთხმოცი ბათმანი მოგემატათ. მახსუკან იორმა არქიმანდრიტი (იოანე ქხიფილიონი, შემდეგ, ეპისკოპოსი) შუა შემოიყვანა და ჩვენ გვიბძანეთ—თქვენ თქვენს მომატების ხალათს გიბოძებთ და წელს იჯარა ათას ას ბათმანათ იორს დაანებეთო. ჩვენც თქვენს ბრძანებას დავმორჩილდით. ახლა ჩვენის ხალათის წყალობას ვითხოვთ და წელსაც ჩვენს ერთგულს სამსახურს ღვთით კიდევ გამოვაჩენთ. აპრილის ე. ქვს უპა“.**

ალამამად ხანის შემოსევის შემდეგ ახტალის მადანი ისევ მუშაობდა. ზარაფხანის შენობა დაუნგრეველი გადარჩა. მეფე გიორგის დროინდელი 1799 და 1800 წლების მადნის შემოსავლის და გასავლის სამი საინტერესო დავთარი ხელთა გვაქვს. ამ დავთრებიდგან ვცნობთ—რამდენი სპილენძი შემოდიოდა სამეფო სარქარში და როგორ იხარჯებოდა, ან როგორ ფასობდა იმ დროს სპილენძი? ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ამ დავთრების სიტყვა-სიტყვით გაცნობა. № 1. „**ქვს უპზ. (1799 წ.) ამ წლის ხარჯი.** [5])

„ქ: კათათვის, გ. ამას წინა თვეებში ლეკის ჯარების მისაცემად. მადნიდან (ჩქ) თილანი ბათმანი. სპილენძი. ქალაქს მიუტანიათ. ამის ქირაში ბოძებია ივ. (თუმანი) იქნება ამის სპილენძი ბათმანი, ნზ. ჰოყა. ა. [6])

„ქ. ი. სულთანიშვილი იოვანეს და ხელჯოხიანს ყულიას ბოძებია სპილენძი ბათმანი, ვ.

„ქ. ვა. მელიქ აპოვის კაცებს. ჲ. თუნგი ღვინო ბოძებია, იმ ღვინის პატრონს ბათმანი. ე.

„ქ. ვზ. თეზაფჩი ანასტასიოსს ბოძებია გ. იქნება ბათმანი ი. ჰოყა. დ.

„ქ. ლი, ბატონს ბე ათაბეგიშვილი იოვანე მდივნისაგან ნ. ამდენი დაუხარჯავს, ამაში უბოძებია სპილენძი ბათმანი (რპ).

„ქ. მარიამობის ია. ბატონის თქმით მადნის ათი ყარაულისათვის,ე. ყარაული მომატებია, ამ. იე. ყარაულს მისცემია ნახევარი ჯამაგირი მადანჯი ბერძნებიდან და ნახევარი სარქიდან. ე. თვეში, გავლილი თვებით იქნა. იბ. ც. იქნება ამის სპილენძი ბათმანი, მზა, ჰოყა ბ.

„ქ. თბ. ღვინობისთვეს. მექვაბეებისაგან მელიქი დარჩიას ხელით ასი ბათმანი სპილენძი სესხებულა და სარქარში დახარჯულა. ამაში მელიქს მიბარებია, რომ თავის პატრონებისთვის მიუბარებია სპილენძი ბათმანი, რ.

„ქ. ღვინობს. იგ. სტამბისათვის ქრისტესია ღვდელს მიბარებია სპილენძი ბათმანი. ი.

„ქ. ქრისტიშობის. ვ. ბატონიშვილ ბაგრატს მირთმევია სპილენძი ლიტრა. მ. იქნება ბათმანი, ივა, ჰოყა. ა.

„ქ. ქრისტიშობის. კვ. გიორგი სარდალს დაუხარჯავს სპილენძი ბათმანი, ნ.

„ქ. ივ. ჰახთალის მადნის საზერვლისათვის მისცემია სპილენძი ბათმანი, ა. ჰოყა, ა. ნი, ი.

„ქ. ვ. ახალ მოსულ ქარხანაჯი კირიაკის ბოძებია სპილენძი ბათმანი, ი.

„ქ. კგ. მუხრანბატონს სახლთხუცეს იოვანეს სარგოში აულია თავის ბარათით სპილენძი ბათმანი, იე.

„ქ. ქრისტიშობის. ზ. ბახჩალო მადანჯ ქრისტეფორეს ბოძებია ძველ ვალში სპილენძი, ბათმანი, ჲ.

„ქ. არღუთაშვილ ზურაბას ბოძებია სპილენძი. ბათმანი, Ց.

„ქ. ლეკის ჯარის მისაცემათ მადნიდამ გამოუგზავნიათ და არღუთაშვილ სოლომან მინბაშს მიბარებია სპილენძი, ბათმანი, პა.

„ქ. სპილენძების მადნიდამ ჩამოტანისათვის, ბეჟანა არღუთაშვილი, ალამდარი ნინია და ჯაბადარი ნინია ბატონს გაუგზავნია, იმათთვის მიუცია სოლომან მინბაში სიტყვით სპილენძი ბათმანი, დ.

„ქ. ერევნელ ვაჭრებს ბატონის ბარათი ჰქონიათ, იმ ბარათში ზოგი სოლომან მიბაშს მიუცია, და იმის ანგარიში სწერია, და აქედამაც მიუცემინებია სპილენძი, ბათმანი, რიბ.

„ქ. თიბათვიდამ დეკემბერ გასვლამდინ, ზ. თვეს დამბეჩავ. კვ. მუშას საზადლო მისცემიათ კაცის თავს თვეში ერთი ბათმანი, იქნება ბათმანი, რპე.

„ქ. ზ. თვის ხარჯი-პურისა და ხორაგისა არის დღეში, იქნება ფ. 5. 61 ქ. იბ, ჯუ.. იქნება ბათმანი, მ. მვ.

**მღ. პ. კარბელაშვილი**

[1]) იხ. Буткова, 1, გვ. 337.

[2]) მადნის ზედამხედველი იყო უზბაში იოსებ ბარათაშვილი.

[3]) იხ. იქვე.

[4]) იხ. Бутковъ 11, 129.

[5]) სიტყვები განიყოფებიან თითო წერტილით (.)

[6]) 1 ფუთი ღირებულა იმ დროს 5 მან. და 72 კაპ.

ავსტრიელთა მთავარი შტაბი იუწყება: რუსთა შეტევა შევაჩერეთ ტრენტინიდან გადმოყვანილ ჯარის წყალობით. როგორც სჩანს ავსტრიელებს იტალიის ასპარეზი შეუსუსტებიათ, რადგანაც იქიდან ჯარი რუსეთის ასპარეზზე გადმოიყვანეს.

**ბულგარეთ საბერძნეთის განწყობილება.**

სოფიიდან იტყობინებიან იმ წერილის შინაარს, რომელიც მოთავსებული იყო ბულგარეთის სამინისტრო საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფ გეშოვის გაზ. „მირ"-ში. წერილი შეეხება ბულგარეთ-საბერძნეთის განწყობილების საკითხს.

საბერძნეთის მთავრობა—ამბობს გაზეთი,—რუპელის სიმაგრე იმისათვის განთავისუფლა, რომ ამას მოითხოვდა არა ბულგარეთი, არამედ გერმანეთი. საჭიროა აღვადგინოთ ძველი მეგობრული დამოკიდებულება ბულგარეთ-საბერძნეთ შორის, იმ სახით, როგორც ამ ორ სახელმწიფოთა შორის 1912 წ. სუფევდა.

ბულგარელთა პოლიტიკურ წრეებში ირწმუნებიან, გერმანელები დაჟინებით ურჩევენ ბულგარელებს სალონიკის წინააღმდეგ მოქმედება დაიწყონ. ბულგარელები ჯერ-ჯერობით შიშობენ სალონიკზე გალაშქრებას. რადგანაც საბერძნეთთან საქმის გამწვავებას ერიდებიან.

**საბერძნეთი.**

ათინიდან იტყობინებიან: მთავრობის პრესა დემობილიზაციის შესახებ ამბობს: მთავრობამ გადასწყვიტა მკვიდრი ნეიტრალობა ბოლომდე დაიცვას. ირწმუნებიან, საბერძნეთის ამგვარი მოქმედება შესამჩნევ ცვლილებას მაინც არ შეიტანს საერთო პოლიტიკაში.

„რუსკ. სლოვო" იუწყება მოკავშირეთა ელჩებს საბერძნეთისათვის მოთხოვნილებანი ჯერ არ წარუდგენიათ, საბერძნეთის გარემოცვა გრძელდება. ადმირალმა ლარომ მოკავშირეთა სახელით ტაზოსის კუნძული დაიჭირა ნავთსადგურის მოსაწყობად. აქედან უნდათ მოწინააღმდეგეთა წყალქვეშა გემებს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიონ, აგრეთვე ხელი შეუშალონ მტერს კოვალის დაპყრობაში.

# დეპეშები

**(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)**

რუსეთის ასპარეზზე რუსები კვლავ იმარჯვებენ. გუშინ დაატყვევეს 100 აფიცერი და 17.600 ჯარის კაცი.

—

დვინსკის მიდამოებში რუსებმა საარტილერიო სროლა ასტეხეს.

—

ბაღდადის მიმართულებით ოსმალელებმა იერიში მოიტანეს და 7 სერპული აიღეს. რუსებმა ეს ქალაქი ისევ მალე დაიბრუნეს უკან.

—

ვერდენის ასპარეზზე მორტჰომთან ფრანგებმა მოპირდაპირეს თხრილი წაართვეს, აქ ტყვედ იგდეს გერმანელი 3 აფიცერი და 130 ჯარის კაცი.

—

შატალკურთან და „304" სიმაღლესთან საარტილერიო ბრძოლაა.

—

იტალიის ასპარეზზე ალჟე და ბრენტოს შუა საარტილერიო ბრძოლაა.

—

ავსტრიელთა მფრინავებმა მრავალ ადგილას ყუმბარები ჩამოყარეს.

# დეპეშა

**ქუთაისი**

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**რაჟდენ დათეშიძემ აჭარის სოფლის ხაიჯარო უფლება ოჰანეზ პეტროსიანცს გადასცა. სამიწადმოქმედო და სახელმწიფო ქონების მმართველობაში ყოველი ფორმალური მხარე უკვე შესრულებულია.**

# ახალი ამბავი

**სასახლეში.** მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს წარუდგნენ სადარბაზოდ თბ. გუბერნიის თ-დ-აზნ. წინამძღოლი თ-დი კ. ნ. აბხაზი და დუშეთის მაზრის უფროსი თ-დი ი. ი. ბარათაშვილი.

**მეფის ნაცვლის საბჭოს** წევრი ბ-ნი ვეიდენბაუმი, თანახმად თხოვნისა, უმაღლესად დათხოვნილ იქმნა თვის თანამდებობისაგან. მის ალაგას დაინიშნა პოლტავის საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარე ბ-ნი ლიზოგუბი.

**აკადემიკი ნ. ი. მარრი** გაემგზავრა ანში არქეოლოგიურ გამოკვლევათა მოსახდენად. ბ-ნ მარრთან ერთად გაემგზავრნენ არქეოლოგი ორბელი, ხუროთმოძღვარნი კნეაგნეცკი და ჩოროხიანი, მხატვარი თარაგრისი და ტოპ-გრაფი ვრუისი.

**პროფესორი ზოლოტარიოვი.** თბილისში ჩამოვიდა პეტროგრადის უმაღლეს კურსებისა ცნობილი ლექტორი პროფესორი ზოლოტარიოვი. იგი დღეს დაესწრება სახალხო მასწავლებელთა კავშირის დამფუძნებელ კრებას და მოხსენებას წაიკითხავს მასწავლებელთა ორგანიზაციების შესახებ რუსეთსა და საზღვარ გარედ.

**ამერიკის კონსულად** თბილისში ინიშნება უფროსი ექიმი ამერიკის სანიტარო რაზმისა კრესსი.

**მეფუტკრეობის კურსები,** რომელიც 2 თიბათვეს გაიხსნა კავკასიის სააბრეშუმო სადგურთან, გაგრძელდება 15 თიბათვემდის. კურსებზე გამოწვეულ არიან 50 საეკლესიო მღვდელ-მსახურნი და 40 მასწავლებელი სამრევლო სკოლებისა. კურსებზე მსმენელთ გააცნობენ მეფუტკრეობის მეცნიერულად დაყენების საქმეს, რომ მერე სკოლებში შეასწავლონ მოწაფეებს ეს საქმე.

**ღარიბ მოწაფეთა შემწე** თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების მორიგი წლიური კრება მოხდება დღეს, 5 ივნისს, დილის 11 საათზე, ქართული გიმნაზიის შენობაში.

**სოფ. პატარძეულში** ხალხის ყრილობას გადაუწყვეტია, რომ სოფელში კოოპერატიული დუქანი გახსნას.

**ხევსურეთში დიდი** სეტყვა მოსულა. მოსავალი მთლად განადგურებულია. 3 დღე გადაუღებლივ სწვიმდა, რის გამოც არაგვი ადიდდა და გზები და ხიდები მეტად დააზიანა.

**კახეთის რკინის გზის** მომხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება დღეს 5 ივნისსაა დანიშნული. კრებამ უნდა აირჩიოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრნი.

**ქართულ სასოფლო სამეურნეო** საზოგადოების წლიური კრება დღეს 5 თიბათვეს მოხდება საზოგადოების ბინაზე ბარიათინსკის ქუჩაზე, ნაშუადღევის $12^1/_2$ საათზე.

**არჩევნების დამტკიცება.** 31 მაისს ა. ი. ხატისოვი მეფის ნაცვალს დაუმტკიცებია თბილისის ქალაქის მოურავად.

**საზოგადოებათა კრებები.** დღეს, 5 თიბათვეს, სამი საზოგადოების წევრთა კრებაა დანიშნული: 1) თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამფუძნებელი კრება, 2) თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წლიური კრება და 3) ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წლიური კრება.

**გაზეთი „საქართველო"** გაუწერა ერთი თვით ბ. ზოსიმე კეშელავამ სოფელ ნანეიშვილისეულის სამკითხველოს.

**ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ დაადგინა გადასდვას: 1) ახალციხის განყოფილებისათვის ომიანობისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად ათასი მან. და 2) ჭრა-კერვის სკოლის სასარგებლოდ 400 მან.; აგრეთვე დადგენილ იქმნა: ა) გაიხსნას უდეს (ახალციხის მაზრა) სკოლასთან თავშესაფარი გადმოხვეწილთა ბავშვებისათვის, ბ) გამართოს მოკლე ხანში სახალხო სეირნობა საზოგადოების ღონისძიებათა გასადიდებლად და 3) აფხაზეთის მცხოვრებთა გაჭირვებულ მდგომარეობის შესახებ ხელახლა აცნობოს გენერალ თამამშევს და დახმარება სთხოვოს.

**ჯარიმის მოხსნა.** თბ. გუბერნატორმა 2000 მანათის ჯარიმა აპატია ვაჭარ სერაფიონ გეორგაძეს.

**მეშეშეთა შუამდგომლობა.** თბ. მეშეშეებმა შუამდგომლობა აღძრეს თბ. გუბერნატორის წინაშე ნება დართოს მათ შეშის ნიხრს მოუმატონ და ჰყიდონ საჟენი რცხილისა 85 მან., შერეული ჯიშებისა—საჟენი 80 მ., წიფლისა 70 მან.

**სამეურნეო აღწერა.** მიწად მოქმედების რწმუნებულის ბ. შაშკოვსკის მონაწილეობით შემდგარ კრებას გადაუწყვეტია სათეს მინდვრების და საქონლის აღწერა მოახდინოს აგრეთვე სვანეთშიაც, თუმცა ბევრი წევრი ამ კრებისა უგზოობის გამო წინააღმდეგი ყოფილა ამ კუთხის აღწერისა მთელი ქუთაისის გუბერნიის აღსაწერად გადაიდო 40 ათასი მანეთი. აღწერილობის ზედამხედველად დანიშნულ იქმნა აგრონომი ა. მ. ვასილევსკი.

**დაჯილდოვებულ იქმნენ** მეფის ნაცვლის მიერ ბრძოლის ველზე თავგანწირვისათვის წმ. ანნა 2 ხარისხით და ხმლებით: თ-დი ჯანდიერი, კაპიტანი კავკასიის მსროლელთა პოლკისა.

წმ. ანნა 4 ხარისხით: ა. გეგელაშვილი, თ-დი ნ. ნიჟარაძე და თ-დი ა. მიქელაძე პოდპორუჩიკები თურქესტანის მსროლელთა პოლკისა, წმ. სტანისლავა 3 ხარისხით—ვ. მაჭავარიანი, ვ. ლაბაძე, გრ. კოსტავა, ა. აღნიაშვილი, მ. მელითაური, ქრ. ქერუმიძე, პ. თეთრაძე, ნ. არეშიძე—პრაპორშჩიკები თურქესტნის პოლკისა და წმ. სტანისლავა 2 ხარისხით: გროზნის პოლკის პრაპორშჩიკი მ. ტატიშვილი.



თ-დ ივანე თეიმურაზის ძე ამილახვარი, (1914 წ. დეკემბერში ოსმალეთის ფრონტზედ დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა, შემდეგ გადაყვანილ იქმნა 1915 წ. აპრილში ავსტრიის ფრონტზედ და იქ უკვალოდ დაიკარგა. აღმოჩნდა, რომ გერმანიის „ჩემოდანმა" ნაფლეთებათ აქცია).

**მიწად მოქმედების** მინისტრის რწმუნებული კ. ი. შაშკოვსკი ბათომის ოლქიდან თბილისს დაბრუნდა.

**საგულისხმიერო გამოფენა.** თბილისის რკინის გზის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელმა ამ დღეებში გამოჰფინა მოწაფეთა ნახატები მხატვარ მასწავლებელ ა. ციმაკურიძის ხელმძღვანელობით. გამოფენა ფრიად საგულისხმიერო გამოდგა. ციმაკურიძეს ბავშვებისთვის ახალი მეთოდით უსწავლებია მხატვრობა, რაიც ფანტაზიის მეტს თავისუფლებაში გამოიხატება. ბავშვებს ხატვის საგნად მეტ წილად აუღიათ ომის სურათები. არიან პეისაჟისტებიც. ქართველი ბავშვებიც ბლომად გამოერჩივნენ თვისი ნიჭით. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ პედაშვილი, კვლევიძე, ბოგდაველ და სხვანი.

**გუბერნიის მარშლის არჩევა.** 3 თიბათვეს, ღამის 10 სათ. 30 წ., განახლდა თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება, რომელიც 1 თიბათვეს იქმნა შეწყვეტილი ასარჩევი იყო თავად-აზნაურთა გუბერნიის მარშალი. კრებაზე დასახელებულ და არჩეულ იქმნა ისევ თავ. კ. ნ. აფხაზი, რომელმაც მიიღო 100 თეთრი და 17 შავი კენჭი.

**საბურთალოს მცხოვრებლებმა** კვლავ აღძრეს შუამდგომლობა ქალაქის გამგეობის წინაშე რათა ეს ნაწილი დროზე შემოუერთონ ქალაქს, დროზე გაიყვანონ წყალ-საყვანი და განათება მისცენ.

**სასწავლებელში.** ქალთა მესამე გიმნაზიის 7 კლასი დაამთავრეს შემდეგმა ქართველმა ქალებმა: ნინო გივიშვილმა, თამარ ანდრონიკაშვილმა (ვერცხლის ჯილდოთი) ანნა ლაბაძემ, მარიამ მელაძემ, ევგენია ოქროპირიძემ, ელენე თაზიშვილმა და ნინო ხომასურიძემ; 8 კლასი: საგინაშვილმა ნინომ და ნიკიტინმა ნინომ (დედით ქართველმა).

**ტანთსაცმელების საჭიროება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას ატყობინებს ბათომიდან გ. ცინცაძე, რომ ქართველ მაჰმადიანთა ბავშვებისათვის დიდძალი სამოსლებია საჭირო და სთხოვს, რამდენსაც მოახერხებს გამგეობა, დაუყონებლივ გაუგზავნოს ბათომის განყოფილებას ბავშვთა თავშესაფარისათვის.

**ქალაქის პურის საცხობი.** ს. ზ. მირზოევს დაუმთავრებია ორ სართულიან ოთხ ფურნის შენობა პურის საცხობად, ამ ფურნეებში დღეში 1200 ფუთი პურის გამოცხობა შეიძლება.

**ნიხრი ყინულზე.** ქალაქის გამგეობამ ფუთ ყინულზე 3 აბაზი დააწესა. თითონ კი ხელოვნურ ყინულისთვის ქარხნიდან იძლევა სახლში მიტანით ათ შაურად.

**შემოიტანეს** თბილისში 3 თიბათვეს ფქვილი 14 ვაგ., ბოსტნეული 2 ვაგ., შეშა 2 ვაგ., ნავთი 1 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 14 ვაგ., თეზაფი 1 ვაგ., კომბოსტო 40 ფ., კიტრები 440 ფ., ერბო 121 ფ., ყველი 18 ფ.

**ქალთა ახალი საზოგადოება.** თბ. გუბერნატორის წინაშე ქალთა ერთმა ჯგუფმა შუამდგომლობა აღძრა პროფესიონალურ საზოგადოების დაარსების შესახებ ქ. თბილისში, ამ სახელით: „კავკასიის საზოგადოება ქალთა სამრეწველო შრომისა თბილისში". მიზანი ამ საზოგადოებისა—გამოიკვლიოს უთანხმოებანი დამქირავებელთა და დაქირავებულ ქალთა შორის თანაბად პირობების ძალისა და აგრეთვე ქალთა შრომის პირობები და სხვა.

**საქონლის ჭირი.** როგორც თბ. გუბერნატორს ატყობინებენ თიანეთის მაზრის სოფ. ბალბის-ხევსა და კვერნაულში საქონლის ჭირი მძვინვარებს.

**კომისიების თავმჯდომარენი.** ქალაქის საბჭოს სამოსწავლო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ხმ. ევანგულოვი. დარჩენილ გადასახადთა მომწესრიგებელ კომისიის თავმჯდომარედ—ხმ. ლუნკევიჩი, საადგილ-მამულო კომისიისა—ხმ. ჭრელაშვილი, უსახლკაროთა თავშესაფარის გამგე კომისიისა—ხმ. ოსტროგორსკი, საუნივერსიტეტო კომისიისა—ხმ. თუმანოვი და საბჭოში მიცემულ საჩივართა გამწესრიგებელ კომისიისა—ხმ. ი. მ. დოლუხანოვი.

**დიდი სეირნობა.** მოვაგონებთ ჩვენ საზოგადოებას რომ დღეს ხარფუხის საზოგადო კლუბში ქართველ ნიჭიერ ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების „იმედის" სასარგებლოდ გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა. სეირნობა ნაშუადღევის 4 საათზე დაიწყება, ბავშვთა გასართობებით, რომელიც 9 საათამდე გასტანს. შემდეგ კი გასართობებია მოზარდთათვის. სეირნობის გამგენი ბრძანდებიან ნ. დ. მანსვეტაშვილისა და კნ. დ. დ. ჯავახიშვილისა.

**დუშეთის სასოფლო-სამეურნეო** საზოგადოების დამაარსებელთა კრება დღეს, 6 ივნისს დანიშნულია ახალ კლუბის დარბაზში. კრებამ უნდა მოისმინოს ახლად არჩეულ გამგეობის მოხსენება ამ საზოგადოების შემუშავებული წესდების შესახებ.

# მგოსან ირ. ევდოშვილის დამკრძალავ ბიუროს კრება

3 მაისს „ნაკადულის" რედაქციაში მოხდა ბიროს კრება. ხაზინადარმა ივ. ზედგინიძემ წარუდგინა ბიუროს ირ. ევდოშვილის დასაკრძალავად შემოსავალი და გასავალი საბუთები. ხარჯს გარდა სუფთა თანხა განსვენებულის ოჯახს სასარგებლოდ 1504 მ. კაპეიკებით დარჩა. შემოწირულებანი დღემდე იგზავნებიან ქართულ ჟურნალ-გაზეთების სახელზე, ისე რომ უკანასკნელად გამოგზავნილი ფული ზოგიერთა რედაქციების სახელობაზე ბიუროს ჯერ არ მიუღია. მთელი დარჩენილი თანხა ბიუროს დადგენილებით გადაეცა ქ-ნ ნინო ნაკაშიძისას ბანკში შესატანად. ბიურომ გადასწყვიტა: ევდოშვილის ქვრივს ერთდროულად გადაეცეს 150 მან. (წინედ 100 მ. გადაეცა) ზაფხულის თვეებში ეძლიოს ას-ასი მანეთი თვიურად, ხოლო დანარჩენ ცხრა თვის განმავლობაში გადაეცემა რვა-რვა თუმანი.

**შემოწირულება კვლავ გრძელდება. ფული მიიღება „ნაკადულის" რედაქციაში ნ. ნაკაშიძის სახელობაზე.**

შემომწირველთა სია დაწვრილებით გამოცხადდება.

# სვანების დეპუტაცია

გუშინ სვანეთიდან ჩამოვიდა და ჩვენს რედაქციას ესტუმრა დეპუტაცი. დეპუტაციაში არიან: ამბროსი პირველი, ჯანჯიკ ხარძიანი და ართენ ჩარქსელიანი.

დეპუტაცია უნდა წარუდგეს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ხალხის ჭირვარამის ასახსნელად და შემწეობის სათხოვნელად, ცოტ-ცოტა დახმარება თითქმის ყოველ მხარეს ეძლევა, ხოლო სვანეთი ყველასაგან მივიწყებულია, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი მხარე საქართველოისა ეკონომიურად სვანეთისავით არ არის დაქვეითებული. ნამეტნავად დღევანდელმა ომმა ამ მხარეს მთლად დაუკარგა ყოველივე იმედი და სახსარი არსებობისა.

წინა წლებშიაც სვანეთში ძლიერ იშვიათი იყო, რომ მოსახლეს მოსვლოდა წლის სარჩო. მის მარჩენალ წყაროთ ითვლებოდა უმთავრესად ლეჩხუმი, საიდანაც სვანი ტვირთით სამი-ოთხი დღის სავალზე სიმინდს მიეზიდებოდა თავის ოჯახისაკენ. შარშანდელმა მოუსავლობამ, სანოვაგისა და უსაჭიროესი საგნების სიძვირემ მთლად შეავიწროვა აქაური მკვიდრნი, მით უმეტეს, რომ ეს კუთხე ქალაქებზე ძლიერ დაშორებულია და ვაჭრობა-მრეწველობა და ფულის შოვნა ხალხისათვის შეუძლებელია. სხვაგან სანოვაგე თუ გაძვირდა, სამაგიეროდ ფული მაინც იშოვება. სვანეთში კი, როგორც სანოვაგე, ისე ფულიც, გაძვირდა. ფული ბევრიც რომ ჰქონდეთ, სასყიდლად მაინც ვერაფერს იშოვნიან, რადგან ლეჩხუმიც დამშეულია და ფუთი სიმინდი, ოთხ-ხუთ მანეთად ფასობს.

ამგვარად, სვანეთი დიდს განსაცდელში ჩავარდნილი და თუ დახმარება არ აღმოუჩნდა, არ ვუწყით მომავალი როგორი დაუდგება. წელსაც საშინელმა წვიმებმა, ხიალვრებმა და სეტყვამ მოსავალი მთლად გაანადგურა.

დღეს ერთად-ერთ მათ იმედს შეადგენს ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც უნდა მიმართონ მათ და, იმედია, ეს პატივცემული საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოდ სვანეთის მუდარას და სათანადო დახმარებას აღმოუჩენს.

# სტუდენტების გაწვევა

**ჯარში იწვევენ 1896 წ. დაბადებულ I და II კურსის სტუდენტებს.**

ბრძანებაში ნათქვამია: დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ჯარში გაიწვიონ ყველა უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლენი, რომელთაც სწავლისთვის ვადა ჰქონდათ მიცემული I და II კურსზე სწავლობდნენ. გაიწვევენ ყველა ახალგაზდათ, გარდა ყაზახთა სამხედრო წოდებისა.

ამის გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ შემდეგი განმარტებანი გამოაცხადა:

ა) ზემო აღნიშნული მოსწავლენი, უსათუოდ უნდა წარუდგნენ სასწავლებლის მთავრობას, რომელიც განუმარტავს გაწვევის წეს-რიგს და დროს ადგილობრივ სამხედრო ბეგრის საკრებულოში—შესამოწმებლად.

ბ) თუ რომელიმე ჯარში გაწვეულს, მოწოდებამ უცხო ადგილს მოუსწრო, ვალდებულია—ადგილობრივ სამოქალაქო ანუ სამაზრო სამმართველოში გამოცხადდეს.

გ) ის პირნი, რომელნიც გაზაფხულზედ მე-II კურსიდან მე-III-ზე გადავიდნენ, უნდა გამოცხადდნენ მეორე კურსელებთან ერთად.

დ) ახალგაზდანი, რომელნიც სამხედრო სამსახურისთვის გამოდგებიან, შემოწმების 4 დღის შემდეგ, ადგილობრივ სამაზრო სამხედრო უფროსთან გამოცხადდებიან და ბინადრობის ადგილს აცნობებენ. ზემოხსენებული პირნი, სამხედრო სამსახურში თანდათანობით იქნებიან გაწვეულნი საჭიროების მიხედვით.

იმ პირთ, რომელნიც დროებით თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისგან,—სწავლის გაგრძელების ნება ეძლევათ.

ე) როგორც 31 მარტს გამოაცხადა მთავარ შტაბის სამმართველომ, არავითარი ვადა არ მიეცემათ იმ მოსწავლეთ, რომელნიც ომის საჭიროების სხვა და სხვა დაწესებულებაში ემსახურებიან.

ვ) არ გაიწვევენ იმათ, ვინც სასწავლებლის მთავრობის მოწმობას წარადგენს, რომ იგინი ჩვეულებრივ ვადაზე უფრო ადრე დაასრულებენ სწავლას, ასეთი მოწმობა სამი თვის განმავლობაში უნდა შეიტანონ.

ვისაც სამხედრო სასწავლებელში შესვლის ნება აქვს იგი უნდა შეუდგეს მოვალეობის აღსრულებას. თავისუფლდებიან იგინიც, რომელნიც საზღვაო-სამხედრო სასწავლებლებში სწავლობენ. ასეთებმა მოწმობა შემოდგომამდე უნდა შეიტანონ.

ზ) ის პირნი, რომელთაც დღევანდელი მოწოდება არ ეხება და თავისი ნებით ჰსურთ ომში წასვლა, თავისს სურვილს სასწავლებლის უფროსს გამოუცხადებენ და მოხალისეებად ჩაითვლებიან.

# პატარა საუბარი გლეხთან

**I.**

მინდა გლეხთან გავმართო საუბარი; ვესაუბრო პირახდილად, მიუდგომლად მიუთითო მის ნაკლზე და საჭიროებაზე. არ შევუდგები გლეხის დუხჭირ ცხოვრების აღწერას, რადგანაც გლეხი თვითონვე ჩემზე უკეთ გრძნობს იმ რკინის უღლის სიმძიმეს, რომელიც მას დაადგა კისერზე ცხოვრების ჩარხის უკულმა ტრიალმა, გარემოებამ; ან რა საჭიროა ადამიანისთვის მისი გარემოება, აღწერა რასაც თვითონვე გრძნობს, თავათ განიცდის, ღარიბი, დაბეჩავებული პიროვნება, დაბალი ლობე, ყველასაგან აბუჩად აგდებული, ყველას პატივისმცემელი და მარჩენალი, აი მოკლედ გლეხის დახასიათება; ყველას ის არჩენს, მაგრამ ყველა მას არაფრად აგდებს; მისი დაკორძებული ხელები და წვიმა-სიცხისაგან გაშავებული პირ-კისერი, უკეთეს შემთხვევაში მარტო სიბრალულს თუ გამოიწვევს ვისშიმე; მაგრამ სიბრალული რას უშველის გლეხს, მას შველა სჭირია, მძიმე ტვირთის შემსუბუქება; მართალია, გლეხს დღეს ბევრი რჯულის ჭირისუფალი გამოუჩნდა, ყველა ჩემობს პატრონობა გაუწიოს, ბევრი ლაპარაკობს მის ჭირ-ვარამზე მისივე სახელით, მაგრამ ნამდვილი ჭირისუფალი, გულშემატკივარი გლეხს ძალიან ცოტა ჰყავს. მაინც და მაინც არც თუ დიდად აქვს გლეხს სხვისი იმედი; ეს ასეც უნდა იყოს; გლეხმა თვითონვე უნდა იხსნას თავი, თვითონვე უნდა შესძლოს თავის პატრონობა, თვითონვე უნდა გამონახოს თავის იარის მალამო, თავისივე ხელით უნდა გამოსჭედოს საკუთარ გრდემლზე თავისი მომავლის, ბედის კვერი; გარეშე იმედი მის მუდამ დანაოჭებულსა და დასევდიანებულ სახეს ვერ მოჰგვრის ღიმილს. რომ გლეხმა თვითონვე შესძლოს თავის მოვლა-პატრონობა, თავისი მძიმე ტვირთის შემსუბუქება, ყველაზე უფრო საჭიროა მისთვის, უპირველეს ყოვლისა შეგნება, საკუთარი თავის შესწავლა, გათვითცნობიერება, რომელსაც სამწუხაროდ ჩვენი გლეხი მოკლებულია; რასაკვირველია, წარსულთან შედარებით დღეს გლეხს მეტი შეგნება ეტყობა, მაგრამ დროც გამოიცვალა, ცხოვრების პირობები შეიცვალა, ცხოვრება გაჭირდა, ამიტომ ცხოვრებასთან საბრძოლველად გლეხს დღეს უფრო მეტი ცოდნით, შეგნებით სჭირია შეიარაღება, დღეს უფრო მეტი უნარია საჭირო, რომ გლეხი არ დამარცხდეს და გაუმკლავდეს თანამედროვე ცხოვრების მძიმე მარწუხებს. პირობებმა, გარემოებამ არ შეუწყო გლეხს ხელი, თორემ განა თვითონ კი ვერ გრძნობს, თუ რა დიდად საჭიროა ადამიანისათვის ცოდნა, სწავლის მიღება, ამის დასამტკიცებლად ხომ თვითონვე ამბობენ გლეხები: „უსწავლელი კაცი ყრუ არის ულელში შესაბმელი ხარის მგზავსიო", როგორ არა, იციან, შეიგნეს გლეხებმაც სწავლის მნიშვნელობა და ამ შეგნების ნაყოფია, რომ სწავლას დაეწაფენ, სკოლებს საკმაოდ ხსნიან; მაგრამ მიუხედავათ ამისა, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ყველა ჩვენი კუთხის გლეხებმა სავსებით ვერ შეიგნეს სწავლის საჭიროება, თუ ვერ სძლიეს დაბრკოლებას, რომელიც წინ ეღობება ჩვენ გლეხობას სწავლა-განათლების საქმეში; მაგ. გურია-იმერეთში გლეხს თუ თავის სამღთო ვალად მიაჩნია თავის შვილს სოფლის სკოლაში მაინც დაასრულებინოს სწავლა, სამაგიეროდ ქართლ-კახელი გლეხი უფრო ალმაცერად უყურებს სკოლას, გამიგონია ქართლ-კახეთში გლეხებიდან: „რა არის სოფლის სკოლა, იქიდან ხომ მაინც ბევრს ვერას გახდებიან ჩვენი ყმაწვილებიო". მხოლოდ წერა-კითხვაც რომ ისწავლოს განა ცუდია.

ამ საშინელმა, უმაგალითო ომმა ხომ მაინც აგრძნობინა გლეხს, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია უბრალო წერა-კითხვის ცოდნასაც კი: დღეს ხშირათ შეხვთებით აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებში დედებს, რომლებიც დაატარებენ გადასათარგმნად ბრძოლის ველიდან მიღებულ შვილის რუსულ ენაზე დაწერილს, ეხვეწებიან ხან მღვდელს, ხან მასწავლებელს, „ეს ქაღალდი ამიხსენიო". წერა-კითხვა რომ სცოდნოდათ მათ შვილებს ხომ თვითონვე მოიწერებოდენ თავის ენაზე წერილს თვითონ უკეთ არ შესძლებდნენ სისწორით აღეწერა დედ-მამისთვის თავისი გულის ნადები; გლეხმა ყოველგან უნდა შეიგნოს, შეითვისოს პირველ-დაწყებითი სწავლის დიდი მნიშვნელობა, მართალია ჩვენი სკოლები ჯეროვანად ვერ ემსახურებიან გლეხის ინტერესებს, ვერ აძლევს მათ შვილებს ცხოვრებაში გამოსაყენებლად პრაქტიკულ ცოდნას, მაგრამ რაც უნდა იყოს მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხისათვის პირველ-დაწყებით სწავლასაც კი. ქართლ-კახეთში აი კიდევ რა გამიგონია: „ერთი შვილის მეტი არ გამაჩნია, რად უნდა მას სწავლა, უსწავლელადაც ეყოფა საცხოვრებლად ჩემი მამულიო" და როცა საჭიროება მოადგებათ და აგრძნობინებს მათ თუ რა დიდ საჭიროებას შეადგენს ცხოვრებაში უბრალო წერა-კითხვის ცოდნა, მაშინ კი თვითონვე ხშირად გაიძახიან გულ-ამოკვნესით: „რა შეუთვალო მამა-ჩემს, მე რომ ასე ყრუთ ამზარდა, არაფერი მასწავლაო" ცხოვრებაში გამოსვლის შემდეგ მათი შვილებიც ხომ ასე ცუდათ მოიხსენიებენ მათ თუ არ ასწავლეს, თავის თავი არ შეაგნებიეს.

არა, გლეხმა თავი არ უნდა დაიზოგოს და შვილს შეძლებისა დაგვარად მაინც უნდა ასწავლოს, თუ უნდა რომ შვილი მასაც მეტად გამოადგეს და თავის თავსაც.

გლეხების უმეტესობას თავის სკოლის მიზანზედაც არა აქვს სწორი შეხედულება, აი მაგ. ისინი ხშირად სთხოვენ მასწავლებელს: „შენი ჭირიმე, ჩემს ბიჭს „პოჩერკა" და ენა ასწავლეო, ქართულს შინაც ისწავლისო. „პოჩერკას" გლეხი უძახის რუსულ წერას, ენას კიდევ რუსულად ლაპარაკს, არ იციან გლეხებმა რომ მათი შვილები უფრო ჭეშმარიტათ და მტკიცედ შეითვისებენ მშობლიური ენის საშუალებით პირველ-დაწყებით ცოდნას, მშობლიურ ნიადაგზე აღზრდილები უფრო შეიყვარებენ მშობლიურ კერას, თავის მიწა-წყალს, თავისი მამა-პაპის წარსულს, თავის ერის მომავალს... შეძლებისა დაგვარათ რუსული ენის ცოდნასაც ხომ იძლევა ჩვენი სკოლები.

ჩვენი გლეხობის უმეტესობა ღარიბია, შეძლება არა აქვს სოფლის სკოლის გათავების შემდეგ გიმნაზიებში გააგრძელებიოს სწავლა; არა გვაქვს ისეთი სასწავლებელი, სადაც გლეხის შვილებს, მისი შეძლებისა და მიხედვით, სოფლის სკოლის გათავების შემდეგ შეძლოს სწავლის გაგრძელება; ერთად ერთი სასწავლებელი; რომელშიაც აგრძელებენ სწავლას გლეხის შვილები ეს სამოქალაქო, ეხლა უმაღლესს პირველ-დაწყებითი სასწავლებელია, ასეთი ტიპის სასწავლებლებს ამ ბოლო დროს სოფლადაც აარსებენ, მაგრამ, სამწუხაროდ ხსენებული სასწავლებელი, გლეხის სურვილს, მის ინტერესებს, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს: ამ სასწავლებლის პროგრამა რაღაც მკვდარია, დაცილებულია ცხოვრებას; ხსენებული სასწავლებელი სოფლისათვის სასარგებლო ცოდნას არ იძლევა, მაგრამ რადგანაც ჯერ-ჯერობით უკეთესი სასწავლებელი არ არსებობს გლეხის შვილებისათვის, მეტი რა ჯანია, მითაც უნდა დავკმაყოფილდეთ. თუმცა აუცილებელი საჭიროა დაარსდეს უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელთან სამეურნეო განყოფილება, სადაც შეასწავლიან მიწის ახალი სისტემით დამუშავებას, მებაღეობას, მებოსტნეობას და მეურნეობის სხვა დარგებს. სამეურნეო განყოფილების ხელმძღვანელი უნდა იყოს აუცილებლად უმაღლესი სპეციალური ცოდნით აღჭურვილი მეურნე; ამის შესახებ თვითონ გლეხებმა უნდა იმეცადინონ, აღძრან შუამდგომლობა ხსენებულ სასწავლებლებთან სამეურნეო განყოფილების დაარსების შესახებ, დაყოვნება საქმეს ავნებს; უიმისოთ უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი „მოსე მწერლებისა" და წვრილი მოხელეების მეტს არას მისცემს ჩვენ სოფლებს.

სიღარიბის გამო ბევრს იმისი შეძლებაც არა აქვს, რომ სამოქალაქო სასწავლებელი გაათავებინოს შვილს, უმეტესობა მარტო სოფლის სკოლის ამარა რჩება; რჩება სოფელში და იქ იწყებს ჰაპანის წევას; ვინც წინ არ მიისწრაფვის, ის უკან რჩება—თუ სოფლის სკოლის გათავების შემდეგაც არ ეცადნენ გლეხები თვითგანვითარებისათვის, თუ თვალ-ყური არ ადევნეს ცხოვრებას, არ იკითხეს ჟურნალ-გაზეთები, წიგნები, წერა-კითხვაც კი დაავიწყდებათ; ამისათვის აუცილებლად საჭიროა ყველა სოფელში იზრუნვოს გლეხმა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებისათვის, რომლის საშუალებითაც შეძლება ექნება გლეხს თვალი ადევნოს ცხოვრებას, სკოლაში შეძენილი ცოდნა უფრო განამტკიცოს; ამ მხრივაც წინ წაასწრეს გურია-იმერეთის გლეხებმა ქართლ-კახელ გლეხებს: განსაკუთრებით გურიაში ხშირად მინახავს—მუშაობიდან მოღალულ შოქანცული გლეხები საღამოს გამოივლიან ყანიდან სამკითხველოში, მიყრიან თოხებს სამკითხველოს წინ, თვითონ კი, მიეშურებიან ჟურნალ-გაზეთებისაკენ, ამის მნახველს იმედით გევსება გული; მართალია ამ უკანასკნელ დროს ქართლ-კახეთშიაც ბლომად იხსნება ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, მაგრამ აქაური გლეხები ისე ფართოდ ვერ სარგებლობენ სამკითხველოთი. გლეხებმაც იციან, რომ „არა ერთითა პურითა ცხონდების კაცი"—ადამიანისათვის არ კმარა მარტო კუჭი გამოიძღოს, გლეხმა სულიერი საზრდოს მოთხოვნილებაც უნდა იგრძნოს.

გრ. საქარიქედელი

## კახეთის ამ-კარბი

11 მაისს საჯაროთ გაყიდვის დროს ქ. თელავში, ვაზიანი მამული სოფ. შილდაში, ზომით 8 ქცევა 6400 მან. დარჩა თელავის მაზრის „ლესნიჩის" ცოლს ქ. მილოვისას. თუმცა ბევრი სთხოვეს ბ. „ლესნიჩს", რომელიც „ფაქტიურათ" იღებდა მონაწილეობას ვაჭრობაში, რათა თავისი პირადი ინტერესებისთვის არ ენაცვალებინა სოფლისა; მაგრამ მოურიდებელმა მოხელემ გადაჭრით მოითხოვა ვაჭრობის დაწყობამდე 300 მან. რომ ვაჭრობაში არ ჩარეულიყო და შემდეგ—კი 9000 მან. რათა მას დაეთმო სოფლისთვის მისი ცოლის სახელზედ დარჩენილი მამული. ასეთმა საქციელმა ბ. „ლესნიჩის" მხრივ დიდი გულისწყრომა გამოიწვია სოფლელებისა და მოითხოვეს თავიანთ რწმუნებულის სახელით ეცნობებინათ ერთსა და იმავე დროს როგორც მთავარ-მართებლისთვის თბილისში აგრეთვე სახელმწიფო-საეკლესიო უწყების გამგეობისთვის მისი საქციელი და ეთხოვა ჩაეშალათ მომხდარი ვაჭრობა.

არ დაიგვიანა საჩივარმაც. ჩქარა გამოჩნდა თბილისის სახელმწიფო-საეკლესიო გამგეობისაგან საგანგებოთ დანიშნული გამომძიებელი ბ. ფუფაევი.

ს. შილდის რწმუნებული ბ. კევლიშვილი ასეთს ბრალს სდებს ბ. ლესნიჩს: როდესაც ს. შილდა სასაფლაოს ადგილის უქონლობის გამო ხშირათ ერთ მიცვალებულს მეორეზედ მარხვენ, რაიც ზნეობრივათ ცუდ შედეგს სტოვებს სოფლელებზედ, სოფელი წვალობს. ეძებს შესაფერ ადგილს სასაფლაოთ. ჰპოულობს მას. მთელი ორი წელი ამაზედ წვალობს, რათა მთავრობამ ნება დართოს სოფელს მისი შეძენისა. ასეთს ნებართვას ღებულობენ, ამ დროს წინ ეღობება ბ. მილოვი და თუ 300 მ. არ მისცემენ სოფლის რწმუნებულნი, ისიც იღებს მონაწილეობას ვაჭრობაში და ეცდება თვითონ დაინარჩუნოს და მერე უფრო კარგ ფასში მიჰყიდოს სოფელს. ბ. კევლიშვილი თხოულობს ასეთი ვაჭრობის გაუქმებას და ხელ ახლათ მის დანიშვნას. გამომძიებამ ორ დღეს გასტანა. ჩვენება ჩამოართვეს ბ, კევლიშვილის მოწმეს. ბ. თ. გიგიაშვილს და მ. აღნიაშვილს. „ლესნიჩის" მხრივ მთელ მის „კანცელარიის მოსამსახურეთ. ბ. ლესნიჩმა სხვათა შორის განუცხადა გამომძიებელს: ბ. კევლიშვილმა შემომაძლია 300 მ. გიაშვილის ხელით, რაზედაც მას ცივი უარი უთხარი და დიდათ საწყენადაც დამრჩა კევლაშვილის საქციელიო. კარგი იქნებოდა ბ. „ლესნიჩს" გულახდილათ ეღიარებინა თავისი შეცდომა სოფლის წინაშე, რაიც ზნეობრივად მაინც აღადგენდა მათს თვალში თავის პიროვნებას. სოფელი ხომ გულკეთილია და მის შეცდომასაც დაივიწყებდა და არა ის რომ, ბ. „ლესნიჩი" სცდილობს მთავრობის თვალების ახვევასაც-კი და ახლა ცილის წამებისაკენ იცქირება.

ლეო.

## ღია წერილი ტფილისის პერიოდულ გამოცემების რედაქციებს

ამ დღეებში ლონდონიდან ვრცელი წერილი მივიღე ჩვენი თანამემამულე ბ. **დავით ღამბაშიძისაგან**, რომელსაც ჩვენი საზოგადოება იცნობს როგორც ერთ ქართულ კულტურულ და სამრეწველო საქმეების საზღვარ-გარეთ მომგვარებელს. იგი აცნობს უცხოეთის ბაზარს ჩვენებურ ხელსაქმის და სამრეწველო ნაწარმოებთ, უპოებს მათ გასავალს, ბაზარს და ამნაირათ აინტერესებს უცხოელებს ბუნებით და კულტურით.

მეორეს მხრით იგი გვაწვდის ჩვენ იქაურ ნაწარმოებთ: ჩვენში გამოსადეგ სამეურნეო იარაღებს, ვენახის საწამლებელ მასალებს შაბიამანს, გოგირდს, სამყნობ იარაღებს, სათესლეებს, ნიადაგის სასუქს, სხვა და სხვა გაუმჯობესებულ მანქანებს, მაგ. საქსოვ და საკერავს, ქართულ-რუსულ საბეჭდავ მანქანებს და სხ. მისანებს გვიგზავნის აქ კავკასიაში გასავრცელებლად.

მან ამ საქმეებისათვის აქ მოსაგვარებლათ გაიჩინა თანამშრომლები.

ომიანობამ ხელი შეუშალა და თითქმის შეუჩერა ახალი, გაუმჯობესებული **ქართული საწერი მანქანების გავრცელების საქმე**, რაიც სხვათა შორის აქ მე მაქვს მონდობილი. მრავალი ქართული დაწესებულება. კანტორები და კერძო პირები მთხოვენ გამოგვიწერე ქართული მანქანაო, მაგრამ ჯერჯერობით ვერავის ვპირდები შეკვეთილის შესრულებას, თუმცა ამის შესახებაც ვაახლებ მიწერ-მოწერას ბ. დ. ღამბაშიძესთან.

თავის უკანასკნელ წერილში ჩვენი საქმის მოყვარულთ თანამემამულე მავალებს სხვა საქმეთა შორის აქაურ ქართულ რუსულ ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გაგზავნას. მას თურმე, დღეს დღეობით არც ერთი აქაური პერიოდული გამოცემები არ მისდის და ამნაირათ იგი მოწყვეტილია ჩვენ ცხოვრებას პრესის საშვალებით თვალყური ადევნოს, რაც მისთვის მიუცილებლათ საჭიროა.

როგორც იგი გულდაწყვეტილი მწერს მიზეზი ჩვენი პერიოდული გამოცემების და წიგნების მიუღებლობისა ყოფილან ისევ ჩვენი გამომცემლები, რომლებსაც იგი ავალებდა თავიანთ გამოცემების მისთვის გზავნას, მაგრამ ამათ სისტემატიურათ ეს მათთვის ნივთიერათაც საინტერესო საქმე დღემდი ვერ მოუხერხებიათ, ვერ მოუგვარებიათ. დღეს იგი ჩვენებურ რედაქციებზე გულგატეხილი აი რას მწერს „ვინაიდან ყველა ჩვენი გაზეთების გზავნა ვერ არის მოწყობილი, გადავწყვიტე გაზეთები თქვენი საშუალებით გამოვიწეროთ ხოლმე. ამით გავალებთ გამომიწეროთ ამ წლის 1 იანვრიდან დაწყებული ქართული გაზეთები და ჟურნალები განურჩევლად მიმართულებისა და შინაარსისა, აგრეთვე „ზაკ. რეჩი", „კავ. სლოლო" და „ცელებნი კავკაზი". კიდევ გიმეორებ ყველა, რადგან მინდა დიდი კოლექცია მქონდეს. ამ ჟამათ არაფერი არ მომდის. მაშასადამე ამ წერილს რომ მიიღებთ, მაშინვე დაიწყებთ გზავნას".

მივმართავ ამ ღია ბარათით ჩვენ ქართულ და აქ ნახსენებ რუსულ რედაქციებს და ჩემის მხრით ვთხოვ მათ გაგზავნონ ამ წლის 1 იანვრიდან ბ. დავით ღამბაშიძეს თავიანთი გამოცემები და მათი ფულის ანგარიშები გამოგზავნონ ხოლმე ქუთაისში და ჩემგან მიიღებენ ხვედრ ფულს. ამას ვავალებ მე თბილისის რედაქციებს მისთვის რომ ქუთაისიდან თბილისის გამოცემების ყოველდღიურათ გზავნა ერთი ორათ გააძვირეს, იმით საზღვარ-გარეთ გზავნა და ამასთან მათი მიღება უფრო ნაკლებათ უზრუნველყოფილი იქნება, რაიც არის სასურველი,რადგან უცხოეთში ამდენიხნის გადახვეწილი თანამემამულე, უეჭველია, მოუთმენლათ მიელის აქაურ გაზეთებს მუდამ დღე, რომ შეიტყოს თავის ქვეყნის ამბები. ამიტომ ნუ მოვაკლებთ მას ამ ბუნებრივი სურვილის დაკმაყოფილებას.

ამ წერილს ორგვარის მოსაზრებით ვაქვეყნებ და ვიმედოვნებ, რომ ამ დავალებას დაუყონებლივ შემისრულებენ ყველა ქართველი და აქ დასახელებული რუსული რედაქციები, რომლებისგანაც მივიღებ თუ არა ანგარიშებს დაუყონებლივ გამოუგზავნი ხვედრ ფულს. საჭიროა ახლავე დაიწყონ გზავნა შემდეგი გამოცემის: „საქართველოსი", „თ. აზრი"-ს, „სახ. ფურცლის", „ზვირთი"-ს, „ზაკ. რეჩი"-ს, „კავ. სლოვო"-სი, „ცელებნი კავკაზი"-ს, „თეატრი და ცხოვრები"-ს და „ეშმაკის მათრახი"-ს. დანარჩენი გამოცემებს კი აქედან გაუგზავნი ხოლმე.

აქვე მომყავს ბ. დავით ღამბაშიძის მისამართი: 61, Mark Lane, London, E. C. D. Gnambasnidze & Co., A. B. C., Code 5 tn Edition. Telepnone: 3635 Avenue.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი"-ს გამგე ქუთაისში

**ისიდორე კვიცარიძე.**

## სოფ. ახალქალაქში გამოფენისთვის შემომწირველთა სია:

ეს გამოფენა გაიმართება ამ ზაფხულს, შემოსავალი გადაეცემა ქართველ მეომართა შვილებს სახელმძღვანელო წიგნების სახით. ყველა ნივთები გამოფენის შემდეგ გადაეცემა ქართულ საისტორიო და საეთნოგ. მუზეუმს.

(გაგრძელება)

25. დავითის ასულმა ჭედლიშვილისამ ძველებური ჩუქურთმიანი სამარილე.

26. ელისაბედ ნიკოლოზის ასულმა სულუაშვილისამ—ძველებური შუბლის ქინძისთავი.

27. ელენე ესტატეს ასულმა გოჩიტაშვილმა—ძველი ნაწერი საეკლესიო წიგნი.

28. მელანია მიხეილის ასულმა გოჩიტაშვილისამ:—ა) ქართველი ქალის კაბის ღილები ვერცხლისა მოოქრული, ბ) ძველებური შუბლის ქინძისთავი.

29. სალომე გიგოს ასულმა გოჩიტაშვილისამ—ძველებური შუბლის ქინძითავი.

30. კეკე მოსეს ასულმა სვანიშვილისამ—ოქრომკედის თავსაკრავი, ძველებური.

31. სოფიო იოსების ასულმა სვანიშვილისამ—ოქროკედის თავსაკრავი, ძველებური.

32. ელისაბედ გიგოს ასულმა სვანიშვილისამ—ძველებური შუბლის ქინძისთავი.

33. ანნა გიგოს ასულმა გელიტაშვილისამ—ვერცხლის ბეჭედი.

34. ელენე შიოს ასულმა გელიტაშვილისამ—ძველებური ჩუქურთმიანი სამარილე.

35. ეკატერინე გიორგის ასულმა გელიტაშვილისამ—ძველი ხელნაწერი.

36. ნინო გიორგის ასულმა ხარატიშვილისამ—შუბლის ქინძისთავი.

37. მარიამ ბესარიონის ასულმა ბარნოვისამ—ძველებური შუბლის ქინძისთავი მარგალიტის თვლებით.

38. ერმონია ანდრიას ასულმა ბარნოვისამ—რუსუდან დედოფლის ფული.

39. ნუშა გიორგის ასულმა ბარნოვისამ—ოქრომკედის თავსაკრავი.

40. მარიამ დავითის ასულმა ბარნოვისამ—ძველებური ქალის სარტყელი თეთრი და ყვითელი მალათით ნაქარგ-ნაკერი.

41. სოფიო სოლომონის ასულმა ხარატიშვილისამ—ოქრომკედის თავსაკრავი.

42. ქეთევან გაბრიელის ასულმა მაახანაშვილისამ—ძველებური ოქრომკედის თავსაკრავი.

43. ბაბალე დავითის ასულმა მამუკაძისამ— ხის არწივის ფეხი ვაშლით.

44. დარია რევაზის ასულმა ჯავრიშვილისამ—სხვა და სხვა შინაარსის ძველი ხელნაწერი 10.

45. ნატალია ბესარიონის ასულმა ჯავრიშვილისამ—უმარილის სადაფი.

46. ნინა დიმიტრის ასულმა ჯავრიშვილისამ—ოქრომკედით ნაკერი ძველებური თავსაკრავი.

47. ელენე დიმიტრის ასულმა ჯავროვმა—ოქრომკედის თავსაკრავი ძველებური.

48. ანნა ლონგინოზის ასულმა ელისაბედაშვილისამ—ა) ჩასაკრავ-ჩაფარიშის ტყავის ფირფიტა 55 ცალი თავის საბეჭავებით; ბ) სანიმუშო სახე.

49. ევგენია ბესარიონის ასულმა ელისაბედაშვილისამ—ა) ირაკლი მეფის და მისი მეუღლე დარეჯანის ნაქონი კონდაკი ხუცური; ბ) სახარება და სამოციქულო ქართული მხედრული ნაბეჭდი; გ) გველის რქა.

(შემდეგი იქნება)

## შემოწირულება

**ქართველ ქალთა საქველმოქმედო სახელოსნო სკოლას მომავალ შენობისთვის ბ. დიმიტრი ფილლიპპეს ძე გეგელიამ კვლავ (წინეთ 227 მ.) ორმოცდა ათი თუმანი შემოსწირა**, რიითაც დიდად ხელს უწყობს იმ განძრახვას, რომ სახელოსნო სკოლას თავისი საკუთარი შენობა ეღირსოს და გამოვიდეს იმ გაჭირვებიდგან, რომელსაც ის კერძო შენობაში განიცდის.

ღრმეს მადლობას უძღვნის უხვად შემოწირვისათვის ბატ. გეგელიას.

**გამგეობა ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებისა.**

## თეატრი

**სახალხო სახლი.** დღეს, საღამოს, სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: ერთ საღამოს ორი პიესა: „ქრისტინე" და „რაც გინახავს ველარ ნახავ". ფასები სახალხოა. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

—

ორშაბათს, 6 თიბათვეს, სახ. სახ. არს. ქართ. წარმ. მართველ წრის მიერ თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა ყრილობის წევრთა პატივსაცემლად წარმოდგენილი იქნება: „პედაგოგები" და „დავა"-ს მეხუთე მოქმედება. ადგილების ფასი სახალხოა დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე.

## ამხ. ქართლი

**ხილის და ბოსტნეულობის მაზანდა.**

ამხანაგობას უკვე მოსდის კახეთიდგან რკინის გზით ბალი, რომელიც გემოთი ბევრათ აღემატება სხვა ბალს. ცოტა ნაკლულოვანება აქვს იმ მხრივ, რომ კახეთიდგან გამომგზავნელებმა კარგი ჩალაგება არ იციან, რადგანაც ხილის ბაზარში გატანა რკინის გზის გაყვანის შემდეგ—ახალი საქმეა მათთვის, ეს არის მიზეზი, რომ ეს ბალი დაბალ ფასად იყიდება—3—20 კ.—5 მანეთამდე. ქალაქის ბალი იყიდება 4—50 კ.—6 მან., კიტრი ასი 4—50 კ. —6 მან., კომბოსტო ფუთი 2—20, ტყემალი არ შემოსულა.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**


ღვინის საწყობი
ნიკო გ. სესიაშვილისა
იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი
კახური ღვინო
გაროვის ქუჩა № 4.
სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.
(185—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
საკუთარი ტყიდან
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა
იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.
იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:
ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი
(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა
მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.
(102—წ.)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი"
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.
იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები (112—წ.)

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სვან ყოველთვის მხოლოდ მიტროფანე ლაღიძის და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გახშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლაღიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქართულად თავმოთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში ❦ თვით პრობკებსაც აწერია
„ლაღიძის წყალი"




მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე
სუნი და გემოც საამური აქვს
წლ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეგველოვები
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712
ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზვით, მრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „„შოჩნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.